

# შპს „საქართველოს მელიორაცია“



## კონკურსი

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის დეტალური საინჟინრო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე

დაფინანსების წყარო:

- 50% სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.
- 50% ორიო გრანტი, ნიდერლანდების სამეფო „Enterprise Agency RVO“

2015 წელი

## საკონკურსო განცხადება

1. შპს „საქართველოს მელიორაცია“ აცხადებს კონკურსს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის დეტალური საინჟინრო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.
2. კონკურსის მიზანია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში, გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება თანდართული ტექნიკური დავალების (დანართი N1) თანახმად.
3. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  1. ადგილის კვლევა (შედეგი 1)
  2. გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზეგავლენის შეფასება და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმა (შედეგი 2)
  3. ფინანსური გეგმა და ეკონომიკური კვლევა(შედეგი 3)
  4. დეტალური საინჟინრო პროექტი (შედეგი 4)

### I. ადგილის კვლევა (შედეგი 1)

ადგილის კვლევის შედეგს წარმოადგენს ზემო სამგორის სარწყავ და სადრენაჟე სისტემაზე სხვადასხვა ტიპის არხების და ჰიდრავლიკური ნაგებობების მდგომარეობასთან დაკავშირებული გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, ჰიდროლოგიური და ტექნიკური ასპექტების შემუშავების საფუძველზე მომზადებული სიტუაციური ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება არა მარტო ტექნიკური მონაცემები, ასევე ფერმერთა მოსაზრებები სისტემის კომპონენტებზე და შეხედულებები სარწყავი წყლის მართვის საუკეთესო პრინციპებზე. საწყის ეტაპზე სამელიორაციო სისტემების კომპანიაში არსებული მონაცემების გამოყენებით, კვლევა უზრუნველყოფს სისტემის განახლებულ ანალიზს და რეკონდაციებს სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის კვლევას წყლის პროპორციულად გაყოფის შესაძლებლობაზე და წყლის ორგანიზების საუკეთესო გზებზე.

### II. გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზეგავლენის შეფასება და გარემოს დაცვის სოციალური მართვის გეგმა (შედეგი 2)

უნდა ჩატარდეს გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების კვლევა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC Performance Standards-ების შესაბამისად, შემოთავაზებული პროექტის ნებისმიერი შესაძლო ეკოლოგიური და/ან სოციალური უკუ

ზემოქმედების შეფასების და საჭიროების შემთხვევაში, შემასუბუქებელი ღონისძიებების თაობაზე, რეკომენდაციების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმაში შემუშავებული შემამსუბუქებელი ღონისძიებები, გათვალისწინებული იქნება განხორციელების გეგმაში და საქართველოს გაერთიანებული სამედიცინო სისტემების კომპანიის რეგულარულ ოპერაციებში. კლევამი გათვალისწინებული იქნება მიწის მიტაცების რისკის შეფასება და სხვა უარყოფითი ზემოქმედებები სამიზნე ფართობზე, კერძოდ მცირე მეურნეობებში და ისეთ მეურნეობებში, რომლებსაც მართავენ ხანდაზმულები (ასაკოვნები) და ქალები და შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რისკების განეიტრალების მიზნით.

### III. ფინანსური გეგმა და ეკონომიკური კვლევა (შედეგი 3)

ფინანსური მოდელი უზრუნველყოფს ზემო სამგორის სარწყავი და სადრენაჟე სისტემის ხარჯების და შემოსავლების განახლებულ ფინანსურ, კომერციულ და ეკონომიკურ გაანგარიშებებს. აღნიშნული მოიცავს ფულადი სახსრების დინების პროგნოზს და გაანგარიშებებს, გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსური განხორციელებადობის, კომერციული ეფექტურობის და ეკონომიკური მდგრადობის შესახებ დასკვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა ვარიანტებზე და განფასების მეთოდებზე დაყრდნობით. პარალელურად, უნდა ჩატარდეს ტარიფების კვლევა, რომლის ფარგლებში მოხდება საბოლოო-მომხმარებლების მიერ საფასურის გადახდის სურვილის და შესაძლებლობის (უნარის) შეფასება

### IV. დეტალური საინჟინრო პროექტი (შედეგი 4)

დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა მოიცავდეს არსებული სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, საჭიროების და დადასტურების შემთხვევაში, ასევე ნაგებობების დემონტაჟის და ხელახალი პროექტირების სამუშაოებს, ფერმერთა ინტერესების შესაბამისად. სამუშაოები მოიცავს არხების და ისეთი ნაგებობების წმენდას და მოპირკეთებას, როგორცაა წყალმიმღებები, რაბ-რეგულატორები, ჰიდრო პოსტები, წყალგამშვებები, ფარები და მილხიდები და სხვა შესაბამისი ნაგებობები, მათი დამქოლავი (დამხშობი) მოწყობილობების ჩათვლით.

**შენიშვნა:** საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს თანდართულ ტექნიკურ დავალებაში (დანართი N1) ასახული მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა – **1 531 500 ევრო** (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით).

5. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის დაინტერესებული პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე (ანგარიშის რეკვიზიტები იხ. ვებგვერდზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge))

6. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინადადებასთან ერთად, მაგრამ არა დალუქულ კონვერტში და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკულარი ნომერი და გადახდის თარიღი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი
- საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთან, მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადება და მასზე დართული ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული ორი-კონვერტით: I კონვერტი - ტექნიკური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ტექნიკურ დავალების პუნქტ ვ. და ზ.1-ქვეპუნქტის შესაბამისად და II კონვერტი - ფინანსური საკონკურსო წინადადება ტექნიკურ დავალების ზ.2-ქვეპუნქტის შესაბამისად.

9.1 საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, რომელთაც მიენიჭება უპირატესობა.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში 11 საათიდან - 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, მე-2 სართული შესყიდვების სამსახური. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ მიიღება.

11. შპს „საქართველოს მელიორაცია“ ანგარიშსწორებას განხორციელებს ლარში ანგარიშსწორების დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, გრანტორი ანგარიშსწორებას განხორციელებს ევროეზოში ანგარიშსწორების დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით უნაღლო ანგარიშსწორების წესით, მიღება-ჩაბარებისა

და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში ტექნიკური დავალების ი. ქვეპუნქტის „გადახდის გრაფიკი“ შესაბამისად.

12. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

13. საკონკურსო კომისია მოახდენს კონკურსანტის დისკვალიფიკაციას, თუ:

13.1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობითა და ამ განცხადების მოთხოვნათა დაცვით, ან არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

13.2. კონკურსანტი 5 სამუშაო დღის ვადაში არ დააზუსტებს ან არ წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას.

13.3. კონკურსანტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე.

13.4. კონკურსანტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

13.5. საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას.

14. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება ორი-კონვერტის მეთოდით, ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასებით (იხ. ტექნიკური დოკუმენტაციის ზ. ქვეპუნქტი).

14.1. პირველ რიგში შეფასდება ტექნიკური წინადადება და ის კომპანიები, რომლებმაც ვერ შეძლეს მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება; მათი ფინანსური წინადადება არ გაიხსნება და დაბრუნდება უკან. ტექნიკური მოთხოვნების შეფასების შემდეგ, ფინანსური წინადადებები გაიხსნება. კონტრაქტი გაფორმდება იმ წინადადებაზე, რომელსაც ექნება საუკეთესო ქულა.

15. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში.

16. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

17. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

17.1. კონკურსში გამოიყენება საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო თეთრ სიაში

რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2.5%-ის ოდენობით. (<http://www.procurement.gov.ge/WhiteList.aspx>)

17.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობები:

17.2.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

17.2.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

## 18. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. საკონკურსო წინადადებაში მონაწილეობისთვის გადახდილი ქვითარი.

2. კონვერტი I, რომელიც უნდა შეიცავდეს:

2.1 მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, კერძოდ:

2.1.1 შევსებულ ფორმას დამტკიცებული გამოცდილების შესახებ.

2.1.2 შევსებულ ფორმას ბრუნვისა და გადახდისუნარიანობის შესახებ რომელიც უნდა მოიცავდეს:

2.1.2.1 კონკურსის მონაწილის და მისი შესაძლო კონსორციუმის პარტნიორის საშუალო წლიური ბრუნვა სულ მცირე 3 მილიონი ევროს ოდენობით (უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, რომელიც დასტურდება აუდიტის მიერ შემოწმებული წლიური ფინანსური ანგარიშებით)

2.1.2.2 კონკურსის მონაწილის და მისი კონსორციუმის პარტნიორის დადასტურებული გადახდისუნარიანობა (უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, რომელიც დასტურდება აუდიტის მიერ შემოწმებული წლიური ფინანსური ანგარიშებით), რომელიც უნდა შეადგენდეს სულ მცირე 20%. გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = (წმინდა წლიური მოგება + ცვეთა) / ვალდებულებები.

2.1.3 შევსებულ ფორმას კორპორაციული სოციალური საპასუხო ქმედებების დეკლარაციის შესახებ.

2.2 ტექნიკური კვალიფიკაციის მოთხოვნებს, კერძოდ:

2.2.1 სამუშაო გეგმას და სამუშაოთა მოცულობისთვის მიდგომის და მეთოდოლოგიის აღწერას, პერსონალის დაკომლექტების ცხრილს და ყველა შედეგის ადეკვატურად შესრულების მიზნით შემოთავაზებული ჯგუფის შემადგენლობის აღწერას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „ა“ 4 ფორმატის 5 გვერდზე მეტს, რაც ფასდება ტექნიკური წინადადების 30%-ით.

2.2.2 დამაჯერებელი მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ არის გაერთიანებული პროექტში სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის და მართვის საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „ა“ 4 ფორმატის 5 გვერდზე მეტს, რაც ფასდება ტექნიკური წინადადების 30%-ით.

2.2.3 შესაბამისი ხარისხის საგარანტიო სისტემების აღწერა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „ა“ 4 ფორმატის 2 გვერდზე მეტს, რაც ფასდება ტექნიკური წინადადების 10%-ით.

2.2.4 ძირითადი შტატის რეზიუმეები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „ა“ 4 ფორმატის 2 გვერდზე მეტს, რაც ფასდება ტექნიკური წინადადების 40%-ით..

3. კონვერტი II - ფინანსური წინადადებები, რომელიც უნდა მოიცავდეს აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებული დროის განაწილების გრაფიკს, დღიური ანაზღაურების და საოპერაციო ხარჯების დეტალურ ჩაშლას.

**შენიშვნა: I და II კონვერტებით წარმოსადგენი (შესავსები) ფორმები და ცხრილები იხილეთ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N2-ში და დანართი N3-ში.**

19. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია ორიო გრანტის პროექტის მენეჯერისგან, ბატონ გიორგი კალანდაძე, [gkalandadze@hotmail.com](mailto:gkalandadze@hotmail.com) თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, მე-2 სართული.

# ხელშეკრულება საპროექტო მომსახურებებზე

(ერთჯერადი გადახდა)

პროექტის დასახელება: „ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია“,  
საქართველო

კოდური ნომერი: ORIO13/GE/01

ხელშეკრულების ნომერი: ORIO13/GE/01-DP/02

შპს „საქართველოს მელიორაცია“

და

[შემსრულებელის სახელი]

შორის

თარიღი: -----



## I. ხელშეკრულების ფორმა

### ერთჯერადი გადახდა

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შედგენილია [რიცხვი, თვე, წელი] ერთი მხრივ, შპს „საქართველოს მელიორაციასა“ (შემდგომში - „კლიენტი“) და მეორე მხრივ, [შემსრულებელი სახელი] (შემდგომში - „შემსრულებელი“) შორის.

[*შენიშვნა:* თუ შემსრულებელი შედგება ერთზე მეტი პირისგან, აღნიშნულის შესახებ უნდა მიეთითოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „... (შემდგომში - „კლიენტი“) და მეორე მხრივ, კონსორციუმი (კონსორციუმის სახელი) შემდგარი შემდგომი შემსრულებლებისგან, რომლებიც სოლიდარულად და დამოუკიდებლად აგებენ პასუხს კლიენტის წინაშე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში, სახელდობრ, [წევრის სახელი] და [წევრის სახელი] (შემდგომში - „შემსრულებელი“).]

### ვინაიდან:

ა) შემსყიდველმა თხოვნით მიმართა შემსრულებელს საპროექტი მომსახურების გაწევის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით (შემდგომში - „მომსახურება“);

ბ) შემსრულებელმა წარუდგინა-რა კლიენტს ინფორმაცია, რომ მას აქვს მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, გამოცდილება და ტექნიკური რესურსები, დათანხმდა მომსახურების გაწევის უზრუნველყოფას იმ ვადებსა და პირობებში, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით;

გ) კლიენტმა ხელი მოაწერა საგრანტო ხელშეკრულებას, ORIO-ს გრანტის მისაღებად, რათა: მიმართოს 50% მომსახურების ღირებულების ხარჯებისკენ და ამ გრანტის შემოსავლის ნაწილი დაუთმოს შესაბამის გადასახადებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში, რას იმას ნიშნავს, რომ (i) გადახდები ORIO-ს მიერ მოხდება მხოლოდ კლიენტის თხოვნით ORIO-ს

მიერ დამტკიცების შემთხვევაში; (ii) ასეთი გადახდები ექვემდებარება, ყველა ასპექტში, საგრანტო შეთანხმების ვადებსა და პირობებს, მათ შორის, აკრძალვებს გრანტიდან გახარჯვაზე ნებისმიერი პირის/პირებისთვის გადახდის მიზნით, ან საქონლის იმპორტზე, თუ ასეთი გადახდები ან იმპორტი, ORIO-ს ცნობით, აკრძალულია გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაეროს ქარტიის თავი VII-ს მიხედვით; და (iii) კლიენტის გარდა, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, ისარგებლოს საგრანტო შეთანხმებიდან ნაწარმოები უფლებებით, ან გამოთქვას პრეტენზია საგრანტო პროცედურებზე.

### **მხარეები ამასთანავე, თანხმდებიან შემდეგზე:**

1. შემდგომი თანდართული დოკუმენტები, ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად:

ა) ხელშეკრულების ზოგადი პირობები (რაც მოიცავს მიმაგრებულ დოკუმენტ #1-ს „ORIO პოლიტიკა - კორუფციისა და თაღლითობის პრაქტიკა“)

ბ) ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები;

გ) დანართები:

დანართი ა: ტექნიკური დავალება;

დანართი ბ: წამყვანი ექსპერტები;

დანართი გ: ჩაშლილი სახელშეკრულებო ბიუჯეტი

დანართი დ: საავანსო გადახდის გარანტიის ფორმა.

დანართი ე: ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

დანართი ვ: შესაბამისობის ფორმები

დოკუმენტებს შორის ნებისმიერი სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შემდეგ თანმიმდევრობას: ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები; ხელშეკრულების ზოგადი პირობები, მათ შორის: დანართი A, დანართი B, დანართი

C, დანართი D. ნებისმიერი სახის მითითება წინამდებარე ხელშეკრულებაზე უნდა მოიცავდეს, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა კონტექსტი, მითითებას მის დანართებში.

2. კლიენტისა და შემსრულებლის ორმხრივი უფლებები და მოვალეობები უნდა განისაზღვროს ისე, როგორც ეს წინამდებარე ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, კერძოდ:

ა) შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს საკუთარი მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) კლიენტმა გადასახადები უნდა დაფაროს ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

### **რის დასტურადაც,**

წინამდებარე ხელშეკრულების დამდები მხარეები, ხელს აწერენ ხელშეკრულებას შესაბამისი სახელებით, თარიღისა და დროის მითითებით.

**შპს „საქართველოს მელიორაციის“ სახელით**

---

ლევან დვალი, გენერალური დირექტორი

[შემსრულებლის ან კონსორციუმის] სახელით

-----  
[შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი - სახელი და ხელმოწერა]

[შენიშვნა: კონსორციუმის შემთხვევაში, ხელს აწერს მხოლოდ ხელმძღვანელი პირი მინდობილობის საფუძველზე, რაც მას ანიჭებს უფლებამოსილებას თითოეული წევრის სახელით განახორციელოს ხელმოწერა]

## II. ხელშეკრულების ზოგადი პირობები

### ა. ზოგადი დებულებანი

- აღწერილობა

1.1. იმ შემთხვევაში, თუ კონტექსტი არ მოითხოვს სხვაგვარ განმარტებას, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „გამოყენებადი რეკომენდაციები“ - ნიშნავს ORIO-ს რეკომენდაციებს;

ბ) „გამოყენებადი სამართალი“ - წარმოადგენს იმ სამართლებრივ ნორმებს ან კანონის ძალის მქონე აქტებს, რომლებიც მოქმედებს კლიენტის ქვეყანაში, ან სხვა იმ ქვეყანაში, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში, რომელიც შეიძლება გამოიცეს და ძალაში შევიდეს დროდადრო;

გ) “ORIO” - ნიშნავს ჰოლანდიის საგრანტო დაწესებულებას შესაბამისი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობისთვის;

დ) „ბენეფიციარი“ - ნიშნავს მთავრობას, სამთავრობო დაწესებულებას ან სხვა ორგანოს, რომელიც ხელს აწერს ფინანსურ [ან სასესხო/საგრანტო/საპროექტო] შეთანხმებას “ORIO“-სთან;

ე) „კლიენტი“ - ნიშნავს ორგანოს, რომელიც ხელს აწერს ხელშეკრულებას მომსახურების მიღების შესახებ შერჩეულ შემსრულებელთან;

ვ) „შემსრულებელი“ - ნიშნავს კანონმდებლობის საფუძველზე დაარსებულ პროფესიონალურ სამემსრულებლო ფირმას ან იურიდიულ პირს, რომელიც შერჩეულია კლიენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად;

ზ) „ხელშეკრულება“ - იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი შეთანხმება კლიენტსა და შემსრულებელს შორის, რომელიც მოიცავს ყველა მიმაგრებულ დოკუმენტს, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში ( ზოგადი პირობები, განსაკუთრებული პირობები, დანართები);

თ) "დღე" - სამუშაო დღე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ი) „ძალაში შესვლის თარიღი“ - თარიღი, როცა წინამდებარე ხელშეკრულება შედის ძალაში და მოქმედებს, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობების 11. პუნქტით;

კ) „ექსპერტი“ - კოლექტიური, წამყვანი ექპერტი, არაწამყვანი ექსპერტი, ან შემსრულებლის ნებისმიერი სხვა პერსონალი, ქვეკონტრაქტორის ან კონსორციუმის (საწარმოების) წევრები, დანიშნული შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ან მომსახურების ნაწილის შესრულების მიზნით;

ლ) “უცხოური ვალუტა“ - ნებისმიერ ვალუტას, გარდა კლიენტის ქვეყანაში მოქმედი ვალუტისა;

მ) „GCC“ - ხელშეკრულების ზოგადი პირობები;

ნ) „მთავრობა“ - კლიენტის ქვეყნის მთავრობა;

ო) „კონსორციუმი“ - წარმოადგენს ასოციაციას, რომელსაც აქვს ან არ აქვს იურიდიული პირის სახე, იმ განსხვავებით, რომ მისი წევრები, ერთზე მეტი პირი, მათგან ერთი პირი უფლებამოსილია აწარმოოს კონსორციუმის ყველა სახის საქმიანობა მისი წევრების სახელით და სადაც კონსორციუმის წევრები ერთობლივად და სოლიდარულად აგებენ პასუხს კლიენტის წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე. ხელშეკრულების მიხედვით, წამყვანი კომპანია წარმოადგენს ხელშეკრულების მფლობელს, ხოლო კონსორციუმის წევრები არიან ქვეკონტრაქტორები, რომლებიც სრულად არიან პასუხისმგებლები წამყვანი ხელშეკრულების მხარის წინაშე;

პ) „წამყვანი ექსპერტი/ექსპერტები“ - პროფესიონალი სპეციალისტი, რომლის უნარები, კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება არის არსებითი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისთვის და რომლის რეზიუმე (CV) მხედველობაში იქნა მიღებული შემსრულებლის შემოთავაზების ტექნიკური შეფასებისას;

ჟ) „ადგილობრივი ვალუტა“ - ვალუტა, რომელიც მოქმედებს კლიენტის ქვეყანაში;

რ) „არაწამყვანი სპეციალისტი“ - დამოუკიდებელი სპეციალისტი, რომელიც წარმოდგენილია შემსრულებლის ან ქვე-კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ან მისი ნაწილი შესასრულებლად;

ს) „მხარე“ - წარმოადგენს კლიენტს ან შემსრულებელს, ან ცალკეულ შემთხვევაში ორივეს ერთად, რომელიც მოხსენიებულია, როგორც „მხარეები“

ტ) „(SCC)“ - ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები, რომლის საშუალებითაც, ხელშეკრულების ზოგად პირობებში შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილება ან დამატება, მაგრამ არა უკვე არსებული პირობების ხელახლა გაწერა.

უ) „მომსახურება“ - გულისხმობს შემსრულებლის მიერ გაწეულ სამუშაოს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია დანართი A-თ.

ფ) „ქვე-კონტრაქტორი“ - წარმოადგენს პირს, რომელთანაც შემსრულებელი დებს ქვე-ხელშეკრულებას მომსახურების ცალკეული ნაწილის შესრულების მიზნით, რჩება-რა პირადად პასუხისმგებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე;

ქ) „მესამე მხარე“ - წარმოადგენს ნებისმიერ პირს, გარდა მთავრობის, კლიენტის, შემსრულებლის და ქვე-კონტრაქტორისა.

- მხარეთა შორის ურთიერთობები 2.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეთა ურთიერთობა არ უნდა იქნას გაგებული როგორც ხელმძღვანელი და მოსამსახურე, მეთაური და აგენტი, როგორც შემსრულებელი

და კლიენტი. შემსრულებელს, წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებით, აქვს ექსპერტებსა და ქვე-კონტრაქტორებზე სრული პასუხისმგებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გაწეული მომსახურების კუთხით და ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მათ მიერ ან მათი სახელით გაწეულ საქმიანობაზე.

- **ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონი:**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება, მისი მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია, მხარეებს შორის ურთიერთობა რეგულირდება შესაბამისი გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმებით.

- **ენა**

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესრულებული იქნა იმ ენაზე, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში, რომელიც უნდა იყოს მაკონტროლებელი და სავალდებულო ენა, ყველა იმ საკითხთან მიმართებით, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან.

- **დასახელება**

5.1. დასახელება არ ზღუდავს იმის შესაძლებლობას, რომ შეცვალოს ან გავლენა მოახდინოს ამ ხელშეკრულების მნიშვნელობაზე.

- **კომუნიკაცია**

6.1. ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით იქნება გათვალისწინებული ან აუცილებელი, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით იმ ენაზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს მე-4 მუხლში. ნებისმიერი ასეთი სახის ცნობა, თხოვნა, ან თანხმობა ჩაითვლება გადაცემულად ან განხორციელებულად, როცა იგი მიეწოდება მხარის უფლებამოსილ წარმომადგენელს, ვის მიმართაც იქნა გაგზავნილი

შეტყობინება, ან უშუალოდ მხარეს იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში-ში.

6.2. მხარემ შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების განხორციელების მისამართი, რის შესახებაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამგვარი ცვლილების შესახებ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.

- **ადგილმდებარეობა**

7.1. მომსახურება უნდა შესრულდეს იმ ადგილზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართ A-ში, ხოლო იმ შემთხვევაში, სადაც კონკრეტული ამოცანის შესასრულებელი ადგილი არ არის მითითებული, ასეთ შემთხვევაში, შესრულების ადგილი შეიძლება განისაზღვროს მხარეთა მოლაპარაკებით.

- **პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილება**

8.1. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არის კონსორციუმი, წევრები უფლებამოსილებით აღჭურავენ პირს, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში, იმოქმედოს მათი სახელით და განახორციელოს შემსრულებლის უფლებები და მოვალეობები კლიენტის მიმართ ამ ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის, შეუზღუდავად მიიღოს ინსტრუქციები და გადახდები კლიენტისგან.

- **უფლებამოსილი წარმომადგენლები**

9.1. ნებისმიერი სახის ქმედება, მოთხოვნილი ან ნებადართული, ნებისმიერი სახის დოკუმენტი მოთხოვნილი ან შესასრულებლად ნებადართული წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის ან შემსრულებლის მიერ, შეიძლება იქნას მიღებული ან შესრულებული იმ ოფიციალური პირების მიერ, რომლებიც მითითებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.



- **კორუფციისა და თაღლითობის პრაქტიკა**

10.1. ORIO მოითხოვს თავის პოლიტიკასთან შესაბამისობას კორუფციისა და თაღლითობის პრაქტიკასთან დაკავშირებით, როგორც ეს მოცემულია ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს დანართ #1-ში.

- ა. **საკომისიოები და მოსაკრებლები**

10.2. კლიენტი მოითხოვს შემსრულებლისგან, რომ წარმოადგინოს ინფორმაცია საკომისიოები, დამატებითი თანხები და მოსაკრებლები რომელიც იქნა გადახდილი ან უნდა მოხდეს მისი გადახდა აგენტისთვის, ან ნებისმიერი სხვა მხარისთვის შერჩევის პროცესთან ან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სულ მცირე აგენტის ან სხვა პირის სახელსა და მისამართს, თანხას და ვალუტას და საკომისიოს დანიშნულება, დამატებითი თანხის ან მოსაკრებლების. იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება აღნიშნული საკომისიოების, დამატებითი თანხისა და მოსაკრებლების წარმოდგენა, შესაძლებელია შედეგად დადგეს ხელშეკრულების შეწყვეტა და/ან სანქციების დაწესება ORIO-ს მიერ.

- ბ. **ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შესრულება, ცვლილებების განხორციელება და მისი შეწყვეტა**

- **ხელშეკრულების ძალაში შესვლა**

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის და მოქმედებს იმ დროიდან (ძალაში შესვლის თარიღი), როდესაც კლიენტი შეატყობინებს შემსრულებელს მომსახურების შესრულების დაწყების შესახებ. აღნიშნულმა შეტყობინებამ უნდა დაადასტუროს, რომ ხელშეკრულების მოქმედების პირობები შეესაბამება ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში ჩამოთვლილ პირობებს.

- **ხელშეკრულების შეწყვეტა შეუსრულებლობის გამო**

12.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულება არ ამოქმედდება განსაზღვრულ ვადაში ხელმოწერის შემდეგ, როგორც ეს აღწერილია ხელშეკრულების

განსაკუთრებულ პირობებში, თითოეულ მხარეს, მაგრამ არანაკლებ 22 (ოცდაორი) დღისა, შეუძლია წერილობით მიმართოს მეორე მხარეს და განუცხადოს ხელშეკრულების ბათილად და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება პრეტენზია წაუყენოს მეორე მხარეს აღნიშნულთან დაკავშირებით.

- **მომსახურების დაწყება**

13.1. შემსრულებელი ვალდებულია დაადასტუროს წამყვანის ექსპერტის ხელმისაწვდომობა და დაიწყოს მომსახურების განხორციელება არაუგვიანეს რამდენიმე დღისა ხელშეკრულების ამოქმედების თარიღიდან, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.

- **ხელშეკრულების ვადის გასვლა**

14.1. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულება არ შეწყდება ვადამდე ადრე, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს მე-19 მუხლში, ხელშეკრულების ვადა იწურება მოქმედების ვადის დასრულების შემდგომ, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.

- **სრული შეთანხმება**

15.1. ეს ხელშეკრულება მოიცავს მხარეების მიერ დამტკიცებულ ყველა შეთანხმებას და დებულებას. არცერთი მხარის აგენტს ან წარმომადგენელს არ აქვს უფლება განახორციელოს და არცერთი მხარე არ იზღუდება და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის განცხადების, წარმოდგენის, დაპირების ან შეთანხმებისთვის, რაც არ არის ამ დოკუმენტით გათვალისწინებული.

- **მოდულიზაცია და ცვლილებები**

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადებისა და პირობების ნებისმიერი სახის მოდიფიკაცია ან ცვლილება, მათ შორის, მომსახურების ფარგლების ნებისმიერი სახის მოდიფიკაცია ან ცვლილება, შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით. ამასთანავე, მხარეები ვალდებული არიან განიხილონ შეთავაზებული მოდიფიკაცია ან ცვლილება და გასცეს დასაბუთებული პასუხი.

16.2. იმ შემთხვევაში თუ ხდება ხელშეკრულებაში არსებითი ცვლილებების ან მოდიფიკაციების განხორციელება, ORIO-ს მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღება აუცილებელია.

- **ფორს-მაჟორი**

**ა) აღწერა**

17.1. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორი ნიშნავს მოვლენას, რომელიც ხელშეკრულების მხარის კონტროლის მიღმაა, წინასწარ გაუთვალისწინებელია, მისი თავიდან აცილება შეუძლებელია და მხარეს უზღუდავს შესაძლებლობას ზედმიწევნით განახორციელოს სახელშეკრულებო ვალდებულებები, ვინაიდან მისი შესრულება არსებული გარემოებების გამო შეუძლებელია და რომელიც მოიცავს, თუმცა არა სრულად შემდეგს: ომი, საზოგადოებრივი არეულობა, მიწისძვრა, ხანძარი, აფეთქება, ქარიშხალი, წყალდიდობა ან სხვა საზიანო ბუნებრივი მოვლენები, გაფიცვები, ლოკაუტი, კონფისკაცია ან სხვა მსგავსი ქმედება განხორციელებული მთავრობის მიერ.

17.2. ფორს-მაჟორი არ უნდა მოიცავდეს: (i) განზრახ ქმედებას, რომელიც გამოწვეულია გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით მხარის ან მხარის ექსპერტების, ქვე-კონტრაქტორი, აგენტების ან თანამშრომლების მიერ; (ii) ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც გულმოდგინე მხარე გონივრულად ელოდა ორივე მხარის მიერ მხედველობაში მიღებას და თავიდან იცილებს ან აჭარბებს ნაკისრი ვალდებულებებს.

17.3. ფორს-მაჟორი არ უნდა მოიცავდეს ფულადი სახსრების უკმარისობას ან ნებისმიერი სახის გადახდის შეუძლებლობას ამ დოკუმენტის საფუძველზე.

**ბ) ხელშეკრულებისქტის პირობების დაურღვევლობა**

17.4. ხელშეკრულების მხარის შეუძლებლობა, შეასრულოს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებები, არ უნდა იქნას მიჩნეული ხელშეკრულების დარღვევად, ვალდებულებების შეუსრულებლობად, ვინაიდან ამგვარი შეუძლებლობა დამდგარია ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ მხარემ, რომელიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს ფორს-მაჟორული გარემოების გამო, მიიღო ყველა საჭირო წინდახედულობის ზომები, გონივრული ალტერნატიული გზები რათა პირნათლად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დადგენილი პირობებისა და ვადების გათვალისწინებით.

#### **გ) მისაღები ზომები**

17.5. ფორს-მაჟორული გარემოებით დაზარალებულმა მხარემ უნდა განაგრძოს საკუთარი მოვალეობების განხორციელება იმ დონემდე, რამდენადაც ეს შესაძლებელია გონიერების ფარგლებში და უნდა მიიღოს ყველა საჭირო გონივრული ზომები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ფორს-მაჟორული გარემოებით გამოწვეული შედეგები.

17.6. ფორს-მაჟორული გარემოებით დაზარალებულმა მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების დადგომის შესახებ უმოკლეს ვადაში რამდენადაც შესაძლებელია და არანაკლებ 14 კალენდარული დღის ვადაში ასეთი ფაქტის დადგომის მომენტიდან, წარმოადგინოს ბუნების შესახებ მტკიცებულებები და ამ მდგომარეობის გამომწვევები მიზეზები, და ასევე, აცნობოს მხარეს წერილობით ნორმალური პირობების აღდგენის შესახებ რამდენადაც შესაძლებელია უმოკლეს ვადაში.

17.7. ნებისმიერი პერიოდი, რომელის განმავლობაშიც მხარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან ამოცანა, უნდა გაგრძელდეს იმ პერიოდით, რა პერიოდშიც მხარე ვერ ასრულებდა აღნიშნულ მოქმედებებს და ამოცანებს ფორს-მაჟორული გარემოებების გამო.

17.8. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის პერიოდში, შემსრულებელმა კლიენტის მითითებების საფუძველზე აგრეთვე:

ა) უნდა მოახდინოს დემობილიზაცია, რა შემთხვევაშიც შემსრულებლისათვის უნდა იქნას ანაზღაურებული დამატებითი ხარჯები, რაც მათ გონივრულად და საჭირო ოდენობით გასწიეს და თუ კლიენტის მიერ იქნება მოთხოვნილი, განაახლოს მომსახურების გაწევა, ან:

ბ) გააგრძელოს მომსახურების გაწევა გონივრულად შესაძლებელ ფარგლებში, რა დროსაც შემსრულებელს უნდა გაუგრძელდეს ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და აუნაზღაურდეს დამატებითი ხარჯები, გონივრულად და საჭირო ოდენობით გაწეული სამუშაოსთვის.

17.9. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის ან მისი მასშტაბის შესახებ, საკითხი უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 44-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე.

- **სუსპენზია (დროებითი შეჩერება)**

18.1. კლიენტს შეუძლია წერილობით აცნობოს შემსრულებელს დროებითი შეჩერების და ყველა სახის გადასახადის დროებით შეწყვეტის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არ ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მათ შორის, მომსახურების განუხორციელებლობის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ (i) ასეთ წერილობით ცნობაში მითითებული იქნება ვალდებულების შეუსრულებლობის ბუნება, და (ii) მოთხოვნა შემსრულებლის მიმართ, რომ მან აღმოფხვრას ასეთი გარემოება არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მას შემდეგ რაც შემსრულებელი მიიღებს ამგვარ ცნობას კლიენტის მიერ.

- **შეწყვეტა**

19.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს თითოეული მხარის მიერ, ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო:

ა) **კლიენტის მიერ:**

19.1.1. კლიენტს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში: ამ მუხლის (A)-დან (F) პუნქტის ჩათვლით. ასეთ შემთხვევაში,

კლიენტმა უნდა აცნობოს შემსრულებელს წერილობით არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, იმ გარემოებების არსებობისას, რომელიც მითითებულია ამ მუხლის (A)-დან (D)-მდე პუნქტებში; წერილობითი შეტყობინება არანაკლებ 60 (სამოცდი) დღისა (E) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში; წერილობითი შეტყობინება არანაკლებ 5 (ხუთი) დღისა (F) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

- (A) თუ შემსრულებელი ვერ აღმოფხვრის მოვალეობების განხორციელების ხელისშემშლელ მიზეზებს მისი ვალდებულებების შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია სუსპენზიის შესახებ შეტყობინებაში ამ დოკუმენტის ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს მე-18 მუხლში;
- (B) თუ შემსრულებელი გახდება ( ან თუ შემსრულებელი შედგება ერთზე მეტი პირისგან, თუ მისი რომელიმე წევრი გახდება) გადახდისუუნარო ან გაკოტრდება, ან კრედიტორებთან დადებს ხელშეკრულებას ვალის შემსუბუქების თაობაზე, ან ისარგებლოს, ან ისარგებლოს მოვალეთა სარგებლის შესახებ კანონმდებლობის უპირატესობით, მოხდეს მისი ლიკვიდაცია ან სავალდებულო ან ნებაყოფლობითი მოვალის ქონების მართვა;
- (C) თუ შემსრულებელი ვერ შეასრულებს ნებისმიერ საბოლოო გადაწყვეტილებას, რაც მიღებული იქნა საარბიტრაჟო განხილვის შედეგად, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 45.1 მუხლში;
- (D) თუ ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად, შემსრულებელი ვერ ასრულებს მომსახურების არსებით ნაწილს არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;

- (E) თუ კლიენტი საკუთარი შეხედულებისამებრ და რაიმე მიზეზით გადაწყვეტს ხელშეკრულების შეწყვეტას;
- (F) თუ შემსრულებელი ვერ დაამოწმებს წამყვანი ექსპერტის ხელმისაწვდომობას, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულების ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს მე-13 მუხლში.

19.1.2. ამასთანავე, თუ კლიენტი გადაწყვეტს, რომ შემსრულებელი ჩართულია კორუფციაში, შეთქმულებაში, თაღლითობაში, იძულებით ქმედებებში ხელშეკრულების შესრულების ან აღსრულების მიზნით, მაშინ კლიენტს შეუძლია, 14 კალენდარულ დღეში წერილობითი შეტყობინების შემდეგ, შეწყვიტოს შემსრულებელთან ხელშეკრულება.

**ბ) შემსრულებლის მიერ:**

19.1.3. შემსრულებელს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება არანაკლებ 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ გარემოებების არსებობისას, რომელიც მითითებულია ამ მუხლის (A)-დან (D)-მდე პუნქტებში:

(A) თუ კლიენტი არ გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას შემსრულებელს და არ ექვემდებარება განხილვას როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 45.1 მუხლში, 45 კალენდარული დღის ვადაში მას შემდეგ, რაც შემსრულებლისაგან მიიღებს წერილობით შეტყობინებას იმის შესახებ, რომ გადახდის ვადა გადაცილებულია;

(B) იმ შემთხვევაში თუ, ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად, შემსრულებელს არ შეუძლია განახორციელოს მომსახურების არსებითი ნაწილი არანაკლებ 60 კალენდარული დღის ვადაში;

- (C) იმ შემთხვევაში თუ, კლიენტი არ შეასრულებს საარბიტრაჟო განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას ხელშეკრულების ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 45.1 მუხლის თანახმად;
- (D) თუ კლიენტი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მის არსებით მოვალეობებს და არ იღებს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, 45 დღის ვადაში (ან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელზეც შესაძლოა შემსრულებელმა თანხმობა განაცხადა წერილობითი შეტყობინების მიღების შემდგომ) მას შემდგომ, რაც მიიღებს შემსრულებლისგან შეტყობინებას ამგვარი დარღვევის შესახებ.

**გ) უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა:**

19.1.4. ხელშეკრულების შეწყვეტის, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს მე-12 და მე-19 მუხლებში, ან ხელშეკრულების ვადის გასვლის დროს, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს მე-14 მუხლში, მხარეთა უფლებები და მოვალეობები უნდა შეწყდეს, გარდა: (i) ისეთი უფლებების და მოვალეობების, რომელიც დაგროვილია ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის დროისთვის, (ii) კონფიდენციალურობის მოვალეობა, ხელშეკრულების ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 22-ე მუხლის მიხედვით, (iii) შემსრულებლის ვალდებულება ნება დართოს ინსპექტირებაზე, ანგარიშის კოპირებასა და აუდიტის ჩატარებაზე, როგორც ეს დადგენილია ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 25-ე მუხლით, (iv) ნებისმიერი უფლება, რაც შეიძლება ჰქონდეს მხარეს მოქმედი სამართლის საფუძველზე.

**დ) მომსახურების შეწყვეტა:**

19.1.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ერთი მხარის მიერ მეორე მხარის გაფრთხილებისას ხელშეკრულების ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 19ა და 19ბ პუნქტების საფუძველზე, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ამგვარი შეტყობინების გაგზავნის ან მიღებისას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მომსახურება განხორციელდეს სწრაფად და ზედმიწევნით და მიიღოს ყველა შესაძლო გონივრული ზომა ამ მიზნებისთვის ხარჯები მინიმუმამდე დაიყვანოს.



რაც შეეხება დოკუმენტებს, რომელიც მომზადებულია შემსრულებლის მიერ და აღჭურვილობებს და მასალებს, რომელიც წარმოდგენილია კლიენტის მიერ, შემსრულებელი ვალდებულია განაგრძოს როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამისად ხელშეკრულების ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 27-ე და 28-ე მუხლებით.

**ე) ანგარიშსწორება ხელშეკრულების შეწყვეტისას:**

19.1.6. ხელშეკრულების შეწყვეტისას, კლიენტი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან:

ა) მომსახურების დამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში საფასურის გადახდა ხელშეკრულების შეწყვეტის ძალაში შესვლამდე; და

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების ზოგადი პირობები-ს 19.1.1 მუხლის (D) და (E) პუნქტების საფუძველზე, ნებისმიერი გონივრული ხარჯის ანაზღაურება რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების სწრაფ და ზედმიწევნით შეწყვეტასთან, მათ შორის, ექსპერტების უკან გამგზავრების ხარჯები.

**გ. შემსრულებლის მოვალეობანი**

• **ზოგადი**

**ა. შესრულების ნორმები**

20.1 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს მომსახურება და გულდასმით განახორციელოს ეკონომიკისა და საქმიანობის საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული სტანდარტები და წესები. დაიცვას მართვის პრაქტიკა და სამსახურისთვის გამოიყენოს შესაბამისი ტექნოლოგიები, უსაფრთხო, ეფექტური

აპარატურა, მექანიზმები, მასალები და მეთოდები. შემსრულებელი ვალდებულია იმოქმედოს ყოველთვის, ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება ამ ხელშეკრულებასქტს ან მომსახურებას. როგორც კლიენტის ერთგული მრჩეველი, ვალდებულია დაიცვას და მხარი დაუჭიროს კლიენტის კანონიერ ინტერესებსთან დაკავშირებულ

ნებისმიერ საკითხებს, გაურიგდეს მესამე მხარეს.

20.2. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე გამოცდილი ექსპერტების და ქვე-კონტრაქტორის დასაქმება, იმ მოთხოვნის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია მომსახურების ბუნებით.

20.3. შემსრულებელმა შესაძლებელია ქვე-ხელშეკრულება დადოს, მომსახურების ნაწილთან დაკავშირებით, წამყვან ექსპერტებთან და ქვე-კონტრაქტორებთან, რაც შესაძლოა კლიენტის მიერ წინასწარ იყოს დადასტურებული. მიუხედავად ასეთი დადასტურებისა, შემსრულებელმა ინარჩუნებს მომსახურები გაწევაზე სრულ პასუხისმგებლობას.

**ბ. მომსახურების გამოყენებითი სამართალი**

20.4. შემსრულებელმა ვალდებულია შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა უზრუნველყოს ნებისმიერი ექსპერტისა და ქვე-კონტრაქტორის მოქმედების, მოქმედი კანონმდებლობისადმი შესაბამისობა.

20.5. ხელშეკრულების აღსრულების პროცესში, შემსრულებელმა ვალდებულია შეესაბამებოდეს კლიენტის ქვეყანაში საქონლის იმპორტთან და

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ აკრძალვებს, როცა:

ა) კანონით ან ოფიციალური რეგულაციებით, კლიენტის ქვეყანა კრძალავს კომერციულ ურთიერთობებს ამ ქვეყანასთან; ან

ბ) შესაბამისობის აქტით, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გაერთიანებული ორგანიზაციის ქარტიის VII თავის საფუძველზე, მსესხებლის ქვეყანა კრძალავს ნებისმიერი საქონლის იმპორტს იმ ქვეყნიდან ან ნებისმიერ გადასახადს ნებისმიერ ქვეყანასთან, პირთან ან ორგანიზაციასთან რომელიც გათვალისწინებულია ქარტიაში.

20.6. კლიენტი ვალდებულია დროულად შეატყობინოს წერილობით შემსრულებელს ადგილობრივი ჩვეულებების შესახებ, შემსრულებელი კი ვალდებულია ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ, პატივი სცეს აღნიშნულ ჩვეულებებს.

- ინტერესთა კონფლიქტი

21.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას შემსყიდველის ინტერესები, მომავალი სამუშაოსათვის ყოველგვარი განხილვის გარეშე და მკაცრად ეცადოს კონფლიქტების თავიდან აცილებას საკუთარი კორპორაციული ინტერესების ან სხვა მოთხოვნების მიმართ.

ა. შემსრულებელმა არ უნდა ისარგებლონ კომისიებით, ფასდაკლებებით და ა.შ.

21.1.1 შემსრულებლის ანაზღაურება ხელშეკრულების ზოგადი პირობების F (მუხლი 38) პუნქტის თანახმად - შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ამ ხელშეკრულებისქტის მიხედვით, მუხლი 21.1.3 შემსრულებლის ანაზღაურება, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 21.1.3 პუნქტის თანახმად, განისაზღვრება მხოლოდ ფულადი გადასახადით. დაუშვებელია შემსრულებელი დათანხმდეს პირადი სარგებელისათვის ნებისმიერ სავაჭრო კომისიას, ფასდაკლებას ან ანალოგიურ გასამრჯელოსთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას ან გადახდას ხელშეკრულების ვალდებულებების შესაბამისად, ხელშეკრულების თანახმად. ხელშეკრულებისქტის თანახმად. უნდა გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერმა ქვე-კონტრაქტორმა, ასევე ექსპერტებმა და სააგენტომ ასევე, არ მიიღონ ნებისმიერი დამატებითი გადასახადი.

21.1.2 გარდა ამისა, თუ შემსრულებელს აქვს კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევის პასუხისმგებლობა საქონლის მიწოდებაზე, სამუშაოთი ან მომსახურებით, შემსრულებელი უნდა დაემორჩილოს ORIO-s გამოყენებად რეკომენდაციებს. და ამგვარი პასუხისმგებლობა მიმართოს კლიენტის საუკეთესო ინტერესებისკენ. ნებისმიერი ფასდაკლება ან უფლებამოსილების მინიჭება, ამგვარი შესყიდვების განხორციელებისას, უნდა იყოს კლიენტის ანგარიშზე.

ბ.) კონსულტანტები და პარტნიორები არ უნდა იყვნენ ჩართულები გარკვეულ საქმიანობაში

21.1.3 კონსულტანტი თანხმდება, რომ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან, კონსულტანტი და ნებისმიერი დაწესებულება, აფილირებული კონსულტანთან, ისევე როგორც ნებისმიერ ქვე-კონსულტანტი და მასთან აფილირებული პირი, იქნება დისკვალიფიცირებული შემდეგი ეტაპის (განხორციელების ეტაპი) სამუშაოების წარმოებისაგან ან არასაკონსულტაციო საქმიანობას, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს პროექტის მომზადების ან შესრულების პროცესიდან, თუ ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გ) კონფლიქტური ქმედებების აკრძალვა

21.1.4 ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი, ისევე როგორც ექსპერტები და ქვე-კონტრაქტორი, არ უნდა ჩაერიონ პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებისმიერ საქმეში ან პროფესიონალურ საქმიანობაში, რაც წინააღმდეგობაში მოდის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ დებულებებთან.

დ) მკაცრი მოვალეობა კონფლიქტური ქმედებების გამჟავნების

21.1.5 შემსრულებელს ეკისრება ვალდებულება და ასევე, ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ექსპერტები და ქვე-შემსრულებლები ვალდებულებები არიან გაამჟღავნონ ნებისმიერ სიტუაციაში ფაქტობრივი ან პოტენციური კონფლიქტი, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს მათ მიერ მომსახურეობის გაწევაზე კლიენტის საუკეთესო ინტერესში. ამგვარი გამჟღავნების განუხორციელებლობის შემთხვევაში, შეიძლება შედეგად დადგეს შემსრულებლის დისკვალიფიკაცია ან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა.

• კონფიდენციალურობა

22.1 გარდა კლიენტის წინასწარი წერილობითი თანხმობისა, შემსრულებელმა და ექსპერტებმა არ უნდა გადასცენ არცერთ პირს ან ორგანიზაციას კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც წარმოიშვა მომსახურების განხორციელების პროცესში, ამასთანავე, შემსრულებელმა და ექსპერტებმა არ უნდა გასცენ საჯარო რეკომენდაციები, რაც შემუშავებული იქნა მომსახურების შედეგად ან მისი წარმოებისას.

- შემსრულებლის პასუხისმგებლობა**

23.1 დამატებითი დებულებების თანახმად, ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში ასეთის არსებობისას, შემსრულებლის პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრება მოქმედი სამართლის ნორმებით.
- შემსრულებლის მიერ მიღებული დაზღვევა**

24.1 შემსრულებელმა (i) უნდა მიიღოს და შეინარჩუნოს, ასევე მიმართოს ქვე-კონტრაქტორებს, რომ მიიღონ და შეინარჩუნონ მისი (ქვე-კონტრაქტორის შემთხვევაში - ქვე-კონტრაქტორმა) საკუთარი ხარჯებით, მაგრამ კლიენტის მიერ დადასტურებული პირობებით და ვადებით, მოახდინოს რისკების წინააღმდეგ დაზღვევა და დაფარვა, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების ზოგად პირობებში, და (ii) კლიენტის თხოვნით, წარუდგინოს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დაზღვევა იქნა მიღებული და შენარჩუნებული, ამასთანავე, მიმდინარე ხარჯები იქნა გადახდილი. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთი დაზღვევა არსებობდეს მომსახურების დაწყებამდე, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობების მე-13 მუხლში.
- ანგარიში, ინსპექტირება, აუდიტი**

25.1 შემსრულებელი ვალდებულია შეინახოს, და მიიღოს გონივრული ზომები, რათა მისმა ქვე-კონტრაქტორებმა შეინახონ, ზუსტი და სისტემური ანგარიში და ჩანაწერები, დოკუმენტები მომსახურებასთან დაკავშირებული ასეთი ფორმა და ამ ფორმასა და დეტალებში მოახდინოს ნათლად იდენტიფიცირება შესაბამისი დროისა და ხარჯების ცვლილების.

25.2 შემსრულებელი ვალდებულია ნება დართოს და ასევე, უზრუნველყოს ქვე-კონტრაქტორების მიერ ნების დართვა, ORIO-ს და/ან ORIO-ს მიერ წარმოდგენილს პირებს, გამოიკვლიონ ადგილი და/ან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ანგარიში და ჩანაწერი და მომსახურების გაწევის შესახებ წარდგენილი წინადადება, ამასთანავე, ასეთი ანგარიშები და

ჩანაწერების აუდიტირება ORIO-ს მიერ წარმოდგენილი აუდიტორების მიერ, თუ ORIO-ს მიერ იქნება მოთხოვნილი.

- ანგარიშგების ვალდებულებები 26.1 შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს კლიენტს ანგარიშები და დოკუმენტები, რომელიც მითითებულია დანართი A-ს სახით, იმ ფორმასა და გარკვეული დროის მანძილზე, რაც მითითებულია დანართში.
- კლიენტის ანგარიშებსა ჩანაწერებზე საკუთრების უფლება და 27.1 თუ სხვა რამ არ არის მითითებული ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში, ყველა ანგარიში, შესაბამისი მონაცემები და ინფორმაციები როგორცაა რუკები, დიაგრამები, გეგმები, მონაცემთა ბაზები, სხვა დოკუმენტები და კომპიუტერული პროგრამები, დამატებითი უწყისები, მოთხოვნების მონაცემები ან შემსრულებლის კლიენტისთვის მომზადებული უწყებები კონფიდენციალური ხდება და რჩება კლიენტის აბსოლუტური ქონებად. შემსრულებელი ვალდებულია არაუგვიანეს ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლისა, მიაწოდოს ყველა ასეთი დოკუმენტი კლიენტს, მათ შორის, დეტალური ინვენტარიზაცია. შემსრულებელმა შეიძლება დაიტოვოს დოკუმენტაციის ასლი, მონაცემები და/ან პროგრამული უზრუნველყოფა, მაგრამ არ უნდა გამოიყენოს ისინი არასახელშეკრულებო მიზნებისთვის, კლიენტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 27.2 თუ სალიცენზიო ხელშეკრულებები რომლებიც აუცილებელი ან ხელსაყრელია შემსრულებელსა და შესაბამის მხარეებს შორის გეგმების, ნახაზების, წვრილმანების, ჩანაფიქრის, მონაცემთა ბაზების, დოკუმენტების და გკომპიუტერული პროგრამების გასავითარებლად, შემსრულებელი ვალდებულია მიიღოს კლიენტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ასეთ შეთანხმებებზე, კლიენტი კი უნდა აღიჭურვოს უფლებით თავისი შეხედულებისამებრ მოითხოვოს იმ ხარჯების აღმოფხვრა, რაც დაკავშირებულია პროგრამის (პროგრამების) განვითარებასთან.

ნებისმიერი სახის შეზღუდვები აღნიშნული დოკუმენტაციის ან პროგრამული უზრუნველყოფის სამომავლო გამოყენებასთან, განსაზღვრული უნდა იყოს ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.

- ალჭურვილობა, გადასაზიდი საშუალებები და მასალა

და

28.1 ალჭურვილობა, გადასაზიდი საშუალებები და მასალები ხელმისაწვდომი შეძლება გახდეს შემსრულებლისათვის კლიენტის მიერ, ან შესყიდული იქნას შემსრულებლის მიერ სრულად ან ნაწილობრივ კლიენტის სახსრებით, რომელიც წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და აღნიშნული უნდა იქნას შესაბამისად.

წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლისას, შემსრულებელი ვალდებულია, გახადოს ხელმისაწვდომი კლიენტისთვის აღნიშნული ალჭურვილობის, გადასაზიდი საშუალებების და მასალების ინვენტარიზაცია და გადასცეს ასეთი ალჭურვილობა, გადასაზიდი საშუალებები და მასალები კლიენტის მითითებების საფუძველზე. მიუხედავად ასეთი ალჭურვილობის, გადასაზიდი საშუალებებისა და მასალების ფლობისა, შემსრულებელმა, იმ შემთხვევაში თუ კლიენტის წერილობითი ინსტრუქციებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა დააზღვიოს ისინი კლიენტის ხარჯი, ღირებულების სრული ჩანაცვლების ოდენობით.

28.2 ნებისმიერი მოწყობილობა ან მასალა, ჩამოტანილი შემსრულებლის ან მისი ექსპერტების მიერ კლიენტის ქვეყანაში, პროექტის ან პირადი გამოყენებისათვის უნდა დარჩეს შემსრულებელი ან ექსპერტების საკუთრებაში.

## დ. შემსრულებლის ექსპერტები და ქვე-კონტრაქტორი

- წამყვანი ექსპერტების დახასიათება

29.1 დარგი/ექსპერტი დადასტურებული სამუშაოს აღწერილობა, მინიმალური კვალიფიკაცია და ვალდებულების შესრულების სავარაუდო პერიოდი, თითოეული შემსრულებლის

## წამყვანი

ექსპერტები, მითითებულია დანართ B -ში.

- წამყვანი  
ექსპერტების  
შეცვლა

30.1. ძირითადი ექსპერტების ცვლილება დაუშვებელია კლიენტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

30.2 მიუხედავად ზემაღნიშნულისა, ძირითადი ექსპერტების ჩანაცვლება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შეიძლება შესრულდეს მხოლოდ შემსრულებლის წერილობითი

მოთხოვნისას და შემსრულებლის გოვრული კონტროლიდან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობისას, როგორცაა გარდაცვალება ან სამკურნალო საჭიროება. ასეთ შემთხვევაში, შემსრულებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გარკვეული ზომები და ჩანაცვლოს თანაბარი შესაძლებლობის ან უკეთესი კვალიფიკაციის მქონე პირით, თუმცა იმავე ანაზღაურებთ.



- **ექსპერტების ან ქვე-კონტრაქტორების დათხოვნა**

31.1 თუ კლიენტი აღმოაჩენს, რომ რომელიმე ექსპერტმა ან ქვე-კონტრაქტორებმა განახორციელა სერიოზული დარღვევა, ჩაიდინა რაიმე სერიოზული კრიმინალური ქმედება, ან კლიენტი დაადგენს, რომ კოსულტანტის ექსპერტი ან ქვე-კონტრაქტორი კორუფციაშია ჩართული, თაღლითობს, საიდუმლოდ მოქმედებს, იძულებით ქმედებებს ახორციელებს მომსახურების შესრულებისას, შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს კლიენტს წერილობითი თხოვნის საფუძველზე, მისი შეცვლა.

31.2 იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი წამყვანი ექსპერტი, არაწამყვანი სპეციალისტი, ან ქვე-კონტრაქტორი კლიენტის მიერ მიჩნეულია არაკომპეტენტურად, ან იგი ვერ ახორციელებს ზედმიწევნით დაკისრებულ მოვალეობებს, კლიენტი ამ გარემოებებზე დაყრდნობით, მიმართავს შემსრულებელს შეცვლის თაობაზე.

31.3. ნებისმიერი ჩანაცვლება გათავისუფლებული ექსპერტის ან ქვე-კონტრაქტორის, უნდა გულისხმობდეს უკეთესი კვალიფიკაციის მქონე პირების მოზიდვასა და უნდა იყოს კლიენტისათვის მისაღები.

31.4 შემსრულებელს ეკისრება ყველა ხარჯი, რაც დაკავშირებულია ექსპერტების შეცვლასთან ან გათავისუფლებასთან.

## ე. კლიენტის ვალდებულებანი

- დახმარება და შელაგათების გაწევა 32.1 თუ ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კლიენტი ვალდებულია გამოიყენოს მთელი ძალისხმევა რათა:

(a) დახმარება გაუწიოს შემსრულებელს მუშაობის ნებართვის და სხვა დოკუმენტების მისაღებად, რაც აუცილებელია შემსრულებლისათვის მომსახურების გასაწევად.

(b) დახმარება გაუწიოს შემსრულებელს დაუყოვნებლივ მოიპოვოს, ექსპერტებისთვის და თუ საჭიროა **მათზე დამოკიდებულ პირებზე**, ყველა საჭირო შესვლისა და გასვლის ვიზა, ბინადრობის უფლება, გაცვლითი უფლებები და ნებისმიერი სხვა საჭირო დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია კლიენტის ქვეყანაში მათი ყოფნისთვის იმ პერიოდის განმავლობაში, რა დროსაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების საფუძველზე.

(c) გადასცეს ოფიციალურ პირებს, აგენტებს და მთავრობის წარმომადგენლებს ყველა ასეთი ინსტრუქცია და ინფორმაცია, რაც შესაძლოა საჭირო ან შესაბამისი იყოს მომსახურების დროული და ეფექტური შესრულებისთვის.

(d) უზრუნველყოს შემსრულებელი ნებისმიერი ასეთი და სხვა დახმარებით, რომელიც შეიძლება მითითებული იყოს ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.

- ხელმისაწვდომობა პროექტის ადგილმდებარეობაზე 33.1 კლიენტი იძლევა გარანტიას, რომ შემსრულებელს ექნება უფასო, თავისუფალი წვდომა პროექტის ადგილზე, რაც აუცილებელია მომსახურების განხორციელებისთვის. კლიენტს ეკისრება პასუხისმგებლობა პროექტის ადგილის ან მასზე მდებარე ქონების ნებისმიერი დაზიანებისთვის, რომელიც გამოწვეული იქნება ასეთი წვდომისგან და გაათავისუფლოს

შემსრულებელი და ექსპერტები პასუხისმგებლობისგან ამგვარი დაზიანების შემთხვევაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა დაზიანება გამოწვეულია შემსრულებლის, ქვე-კონტრაქტორის, ექსპერტის ან მსგავსი პირის მიერ განზრახი ან დაუდევარი ქმედებით.

- ცვლილება მოქმედ კანონმდებლობაში გადასახადებთან და მოსაკრებლებთან დაკავშირებით**

34.1 თუ ამ ხელშეკრულების თარიღიდან, კლიენტის ქვეყნის კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები გადასახადებისა და მოსაკრებლების კუთხით, რომელიც ზრდის ან ამცირებს ღირებულებას, რაც მიიღო შემსრულებელმა მომსახურების გაწევისას, მაშინ ანაზღაურება და ანაზღაურებადი ხარჯები, რომელიც უნდა იქნას გაწეული შემსრულებლისათვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა გაიზარდოს ან შემცირდეს მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე და შესაბამისი ცვლილებები იქნას შეტანილი ხელშეკრულების ფასში, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 38.1 მუხლის მიხედვით.
- კლიენტის მომსახურება, საშუალებები და ქონება**

35.1 კლიენტმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს შემსრულებლებისა და ექსპერტებისათვის, მომსახურების მიზნებისთვის და უფასოდ, მომსახურება, საშუალებები და ქონება, რომელიც აღწერილია ტექნიკურ დავალებაში (დანართი A) იმ ვადაში და პირობით, რომელიც აღწერილია აღნიშნულ დანართში.
- დამხმარე პერსონალი**

36.1 კლიენტი ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს შემსრულებლისათვის უფასოდ, პროფესიონალი დამხმარე პერსონალი, რომელიც დასახელებულია კლიენტის მიერ შემსრულებლის რჩევით, თუკი მითითებულია დანართ A-ში ამ მოთხოვნაზე.

36.2 პროფესიული და დამხმარე კოლეგა პერსონალმა, ისევე როგორც კლიენტის მოკავშირე პერსონალმა, უნდა იმუშავონ შემსრულებლის ექსკლუზიური მითითებების საფუძველზე.

თუ კოლეგებიდან რომელიმე პერსონალის წევრი ადეკვატურად ვერ ასრულებს ნებისმიერ სამუშაოს, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ამგვარი მოვალეობა შემსრულებლის მიერ, შემსრულებელმა შეიძლება მოითხოვოს ასეთი პირის შეცვლა, კლიენტს კი არ აქვს უფლება უსაფუძვლოდ დატოვოს რეაგირების გარეშე ამგვარი თხოვნა.

- **გადასახადის ვალდებულება**

37.1 შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების გათვალისწინებით წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, კლიენტმა უნდა გადაუხადოს შემსრულებელს შესაბამისი გადასახადი, როგორც ეს განსაზღვრულია დანართ A-ში და იმ წესით, რაც დადგენილია ხელშეკრულების ზოგადი პირობების F პუნქტით.

### **ვ. შემსრულებლისათვის გადასახდელი თანხა**

- **ხელშეკრულების ღირებულება**

38.1 ხელშეკრულების ფასი არის უცვლელი და დადგენილია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში. ხელშეკრულების ფასის დაკლება გათვალისწინებულია დანართ C-ში.

38.2 ნებისმიერი ცვლილება ხელშეკრულების ფასთან დაკავშირებით მითითებულია მუხლი 38.1-ში, ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ მხარეები თანახმანი არიან მომსახურების შესაბამისად განხორციელდეს, ზოგადი პირობების 16-ე მუხლის გათვალისწინებით და წერილობით

შეიტანენ ცვლილებას ტექნიკურ დავალებაში, დანართ A-ში.

- **გადასახადები და მოვალეობები** 39.1 შემსრულებელი, ქვე-კონტრაქტორი და ექსპერტები პასუხისმგებლები არიან ნებისმიერ შემხვედრ და საგადასახადო ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოქმნილია სახელშეკრულებო ურთოერთობიდან გამომდინარე, თუ ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული..

39.2 როგორც გამონაკლისი შემთხვევებიდან და განსაზღვრულის ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში, ყველა ადგილობრივი იდენტიფიცირებული არაპირდაპირი ხარჯები (დეტალიზებული და დასრულებული სახელშეკრულებო მოლაპარაკებისას) აუნაზღაურდება შემსრულებელს ან გადახდილი იქნება კლიენტის მიერ შემსრულებლის სახელით.

- **ანგარიშსწორების ვალუტა** 40.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ანგარიშსწორებ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალუტაში.

- **ბილინგისა და ანგარიშსწორების მეთოდები** 41.1 ხელშეკრულებით მიხედვით განხორციელებული საერთო გადასახადები არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 38.1 მუხლში დასახელებულ სახელშეკრულებო თანხას.

41.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადები უნდა განხორციელდეს ერთჯერადი თანხით, ნაწილობრივ შეტანის წინააღმდეგ მოხსენიებულია დანართ A-ში. გადასახადების გადახდა განხორციელდება ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში მოხსენიებული ცხრილის

მიხედვით.

**41.2.1 ავანსის გადახდა:** თუ ხელშეკრულების ზოგადი პირობებში სხვაგვარად არ არის მითითებული, წინასწარი გადახდა განხორციელდება კლიენტისთვის მისაღები წინასწარი გადახდის საბანკო გარანტიით, თანხის ოდენობით (ან თანხების) და ვალუტაში მითითებული ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებით.

ასეთი გარანტია (I) ძალაში რჩება, სანამ ავანსი სრულად ანაზღაურდება და (II) უნდა იყოს დანართი-D დადგენილი ფორმით, ან სხვა ისეთი ფორმით, რომელიც უნდა კლიენტს წერილობითი სახით აქვს დადასტურებული. ავანსი კლიენტის მიერ ანაზღაურდება ერთიანი თანხიდან განვადებით, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში, მანამ სანამ ავანსი სრულად არ იქნება დაფარული.

**41.2.2 ერთიანი თანხის შენატანებით გადახდა:** კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს მისაწოდებელი მომსახურებისა და ერთიანი თანხის შენატანებით გადახდასთან დაკავშირებული ინვოისის მიღებიდან სამოცი (60) დღის ვადაში. გადასახადი შეიძლება იქნას უარყოფილი იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ არ მოხდება მიღებული მომსახურების დამაკმაყოფილებლად ჩათვლა, რა დროსაც კლიენტმა უნდა წარუდგინოს კომენტარები შემსრულებელს იმავე 60 დღის ვადაში. შემსრულებელი ამის შემდეგ ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა ზომა საჭირო კორექტივების შესატანად, რის შემდეგაც მოხდება პროცესის გაგრძელება დადგენილი სახით.

**41.2.3 საბოლოო ანგარიშსწორება:** საბოლოო ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ამ მუხლის თანახმად მხოლოდ მას შემდეგ რაც, შემსრულებლის მიერ იქნება წარმოდგენილი საბოლოო მოხსენება, ხოლოდ კლიენტი კი მას ჩათვლის დამაკმაყოფილებლად. მომსახურება შემდგომ

ჩაითვლება დასრულებულად და საბოლოოდ მიღებულად კლიენტის მიერ. საბოლოო ერთიანი შეტანა ჩაითვლება დადასტურებულად კლიენტის მიერ გადახდის შემთხვევაში 90 კალენდარული დღის ვადაში, კლიენტის მიერ საბოლოო მოხსენების მიღებიდან, თუ კლიენტი ხსენებული 90 დღის განმავლობაში არ მიმართავს წერილობით შემსრულებელს და მოახსენებს დეტალურ ხარვეზებზე რაც გამოვლინდა მომსახურებაში, საბოლოო მოხსენებას. შემსრულებელმა ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყველა ზომა, აუცილებელი კორექტივების შესატანად, რის შემდეგაც პროცესი გაგრძელდება ჩვეულებისამებრ.

41.2.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახადი უნდა განხორციელდეს შემსრულებლის ანგარიშზე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში.

41.2.5 გარდა ზემოხსენებული 41.2.3 პუნქტით გათვალისწინებული საბოლოო გადახდისა, გადახდები არ გულისხმობს მომსახურების სრულ მიღებას, ასევე, შემსრულებელს არ ათავისუფლებს ნებისმიერი დაკისრებული ვალდებულებებისგან.

- პროცენტი დაგვიანებულ გადასახადებზე

42.1 თუ კლიენტი ხელშეკრულების ზოგადი პირობების 41.2.2 მუხლით გათვალისწინებულ გადახდის ვადას გადააცილებს 30 დღით, შემსრულებელს უნდა გადაეხადოს პროცენტი ყოველ გადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობებით დადგენილი წლიური განაკვეთის მიხედვით.

## ზ. სამართლიანობა და კეთილსინდისიერება

- კეთილსინდისიერება

43.1 მხარეები კისრულობენ კეთილსინდისიერი მოქცევის ვალდებულებას, ერთმანეთის სახელშეკრულებო უფლებების პატივისცემას და ყველა საჭირო ზომების მიღებას სახელშეკრულებო მიზნების რეალიზებისთვის.

## თ. დავების გადაწყვეტა

- **მორიგება**

44.1 მხარეები ცდილობენ ნებისმიერი დავის მოგვარებას ორმხრივი კონსულტაციების შედეგად.

44.2 თუ რომელიმე მხარე აპროტესტებს მეორე მხარის ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედებას, მოდავე მხარეს შეუძლია წერილობით წარუდგინოს განცხადება მეორე მხარეს, სადავო საკითხის დეტალური მითითებით. მეორე მხარე, ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ, იხილავს მას და პასუხობს წერილობით მისი მიღებიდან 14 დღს ვადაში. თუ მხარე არ წარუდგენს მოდავე მხარეს საპასუხო შეტყობინებას 14 დღის ვადაში ან თუ დავის მოგვარება ვერ ხერხდება მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი საპასუხო შეტყობინების გაგზავნიდან 14 დღეში, გამოიყენება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 49.1-ე მუხლი.
- **დავის განხილვა**

45.1 იმ შემთხვევაში თუ დავა, რომელიც წარმოქმნილი ან დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან მხარეთა შორის ვერ გადაწყდება მორიგებით, თითოეულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს/არბიტრაჟს, ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში მოცემული დებულებების შესაბამისად.

## ი. შესაბამისობა

**შესაბამისობა:** ხელშეკრულების შესრულების პროცესში, აუცილებელია შესაბამისობა ORIO-ს პოლიტიკასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ:

- ხელშეკრულების შესრულების პროცესში, პრეტენდენტები, ისევე როგორც მისი პერსონალი, აგენტები, ქვე-კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები, მომსახურების გამწევი, მიმწოდებლები და/ან მათი თანამშრომლები, დაიცავენ **IFC** სახელმძღვანელო სტანდარტებს, 2012 და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს;



- არც პრეტენდენტი და არც მისი ქვეკონტრაქტორი, მომსახურების გამწვევები და/ან მიმწოდებლები არ გამოიყენებენ იძულებით და/ან ბავშვთა შრომას, როგორც ეს განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 29, 105, 138 და 182 კონვენციებით;
- არც პრეტენდენტი და არც მისი მონაწილეები, აგენტები, ქვე-კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები, მომსახურების გამწვევი და/ან მიმწოდებლები, არ იქნებიან ჩართულები პირდაპირ ან არაპირდაპირ ქრთამის აღებაში ან სხვა არაკანონიერ ქმედებაში, კორუფციაში, თაღლითობაში, იძულებით ან ხელისშემშლელ ქმედებაში, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან;
- ხელშეკრულების შესრულების პროცესში, პრეტენდენტები, ისევე როგორც მისი პერსონალი, აგენტები, ქვე-კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები, მომსახურების გამწვევი, მიმწოდებლები და/ან მათი თანამშრომლები, დაიცავენ OECD -ს სახელმძღვანელოს საერთაშორისო საწარმოებისთვის (2011).

პრეტენდენტები იძლევიან სტანდარტებთან სრული შესაბამისობის გარანტიას იმ განაცხადთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილია მათი სატენდერო წინადადებით.

## II. ხელშეკრულების ზოგადი პირობები

### დანართი 1: ORIO-ს პოლიტიკა - კორუფციისა და თაღლითობის პრაქტიკა

ORIO-ს ანტიკორუფციული პოლიტიკა მოითხოვს, რომ მსესხებლებმა (ისევე როგორც ORIO-ს მიერ დაფინანსებული ღონისძიებების ბენეფიციარებმა) და შემსრულებელმა, ORIO-ს მიერ დაფინანსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში, დაიცვან ეთიკის უმაღლესი სტანდარტი შერჩევის პროცესში და ასეთი ხელშეკრულებების შესრულების პერიოდში. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, ამ სახელმძღვანელოზე მითითებით, ORIO :

(ა) განსაზღვრავს რომ ამ დებულების მიზნებისათვის, გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

(i) "კორუფციის პრაქტიკა" - არის შეთავაზება, გაცემა, მიღება, მოთხოვნა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე მნიშვნელოვანი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მეორე მხარის არასწორ ქმედებაზე.

(ii) "თაღლითური პრაქტიკა"- ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის ფაქტების დამახინჯება, რომესაც შეგნებულად ან წინდაუხედავად შეცდომაში შეჰყავს, ან ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მხარე, რათა მიღებული იქნას ფინანსური ან სხვა სარგებელი ან მოვალეობის თავიდან ასაცილებლა.

(III) "იძულებითი პრაქტიკა" - დაკნინება ან ზიანის მიყენება, ან მუქარა დაკნინებასა და ზიანის მიყენებაზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი მხარისთვის ან მხარის ქონებისთვის, რათა მოხდეს მხარეზე არაკეთილსინდისიერი ზემოქმედება.

(IV) "ფარული პრაქტიკა" - შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, არაკეთილსინდისიერი მიზნის მისაღწევად, მათ შორის, გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე.

## II. General Conditions of Contract – Attachment 1Lump-Sum

(V) ბოროტად გამოყენება - ეს არის ქურდობა, უსარგებლო ხარჯები, ან აქტივების არასათანადოდ გამოყენება დაკავშირებული ORIO საქმიანობასთან, ან ჩადენილი განზრახ ან უხეში დაუდევრობით.

(VI) ინტერესთა კონფლიქტი - წარმოადგენს ნებისმიერ სიტუაციას, როცა მხარეს აქვს ინტერესი, რომ ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარის ოფიციალური მოვალეობების და ვალდებულებების განხორციელებაზე, სახელშეკრულებო ვალდებულებებზე, ან მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობაზე.

(VII) "ობსტრუქციული პრაქტიკა" - ა) განზრახ განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან მტკიცებულებების დამალვა საკითხის გამოძიებისას ან ყალბი განცხადებების გაკეთება გამომძიებლებისთვის, რათა ხელი შეეშალოს ORIO-ს გამოძიებას; ბ) ყალბი განცხადებების გაკეთება გამომძიებლებისთვის, რათა ხელი შეეშალოს ORIO-ს გამოძიებას; გ) მუქარა, დევნა, მხარის დაშინება, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის გამჟღავნება, რაც დაკავშირებულია გამოძიების საკითხთან; ან დ) არსებითად ხელის შეშლა ORIO-ს სახელშეკრულებო უფლებების განხორციელებაში, აუდიტირებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში.

(VIII) ამ ტერმინებს ერთობლივად ეწოდებათ - „კეთილსინდისიერების დარღვევები“

(ბ) უარს იტყვის ხელშეკრულების დადების შესახებ წარმოდგენილ წინადადებაზე, თუ დაადგენს, რომ რეკომენდებული შემსრულებელი, პირდაპირ ან აგენტის საშუალებით ჩართულია კეთილსინდისიერების დარღვევის ქმედებაში.

(გ) გააუქმოს ის დაფინანსება, რომელიც განსაზღვრა ხელშეკრულებისთვის, თუ აღმოაჩენს, რომ ORIO-ს მსესხებლის წარმომადგენელი ჩაერთო ინტეგრაციულ დარღვევებში შემსრულებლის შერჩევის ან ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მსესხებლის მიერ დროული და შესაბამისი ზომების მიღების გარეშე, რაც ORIO-ს მოთხოვნებს შეესაბამება სიტუაციის გამოსასწორებლად და:

## II. General Conditions of Contract – Attachment 1Lump-Sum

(გ) ნებისმიერ დროს დაუწესებს სანქციას, ორგანიზაციას ან პირს ან პირი, შესაბამისად ORIO - ს ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად ინტეგრაციული პრინციპებისა და სახელმძღვანელოს (რომლებშიც პერიოდულად ცვლილებები იქნება შეტანილი) მიხედვით, მათ გამოაცხადებს უფლების არქონას განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ ვადაში, ისეთ საშემსრულებლო ორგანიზაციას ან პირს, ან უფლებამონაცვლეს, რომელიც იღებს ORIO - ს მიერ დაფინანსებულ, ადმინისტრაციულ აქტივობებში ან იღებს სარგებელს ORIO - ს მიერ დაფინანსებულ ან ORIO - ს მიერ ადმინისტრირებულ ხელშეკრულებაში, ფინანსურად ან სხვაგვარად, თუ იგი ნებისმიერ დროს დაადგენს რომ ორგანიზაცია ან პირი პირდაპირ ან აგენტის მეშვეობით, ჩაერთო ინტეგრაციულ დარღვევებში ან აკრძალულ საქმიანობებში.

**III. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები**

<p><b>ზოგადი პირობების მუხლის ნუმერაცია</b></p>	<p><b>ხელშეკრულების ზოგადი პირობების მუხლებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები</b></p>
<p><b>1.1(ბ) და 3.1</b></p>	<p>ხელშეკრულება უნდა იყოს გაგებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>
<p><b>4.1</b></p>	<p><b>ენა:</b></p> <p>ორივე, ქართული და ინგლისური, ყველა დოკუმენტი უნდა იწარმოებოდეს ორივე, ქართულ და ინგლისურ ენაზე. იმ შემთხვევაში ნებისმიერი სახის შეუთავსებლობაში, ქართულ ენას ენიჭება უპირატესობა.</p>
<p><b>6.1 და 6.2</b></p>	<p><b>მისამართი:</b></p> <p><b>კლიენტი:</b> „საქართველოს მელიორაცია“</p> <p>მარშალ გელოვანის გამზ 6.</p> <p>საფოსტო ინდექსი 0159, თბილისი</p> <p>საქართველო</p> <p><b>პასუხისმგებელი პირი:</b> ლევან დვალი</p> <p><b>შემსრულებელი :</b> _____</p> <p>_____</p> <p><b>დამსწრე :</b> _____</p> <p><b>ფაქსიმილია</b> _____</p> <p><b>ელ.ფოსტა</b> _____</p>

<p><b>8.1</b></p>	<p>[შენიშვნა: თუ შემსრულებელი წარმოადგენს ერთზე მეტ პირს , სახელმწიფო საიდენტიფიკაციო კოდი, ან თუ შემსრულებელი წარმოადგენს რამდენიმე იურიდიული პირის კონსორციუმს, კონსორციუმის წევრის სახელი, რომლის მისამართიც განსაზღვრულია განსაკუთრებული პირობების 6.1. მუხლში.]</p> <p>კონსორციუმის სახელით მოქმედი პირი: _____          _____ [მიუთითეთ წევრი სახელი]</p>
<p><b>9.1</b></p>	<p><b>უფლებამოსილი წამომადგენლები:</b></p> <p><b>კლიენტის:</b> ლევან დვალი, გენერალური დირექტორი</p> <p>შემსრულებელი: [სახელი, სახელწოდება]_____</p>
<p><b>11.1</b></p>	<p><b>ქმედითი პირობები:</b></p> <p>ავანსი ექვემდებარება საბანკო გარანტიას იმავე ოდენობის თანხაში, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს;</p> <p>პირველი გადახდის შემდგომ რომელიც უკავშირდება პირველ და მეორე მისაღებ შედეგს, გრანტორი მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის გაგრძელება-/არ გაგრძელების თაობაზე, 1 და 2 -ე შედეგების მიღების საფუძველზე.</p>
<p><b>12.1</b></p>	<p><b>ხელშეკრულების შეწყვეტა ხარვეზის საფუძველზე ქმედითია:</b></p> <p>პერიოდი უნდა იყოს: სამი თვე</p>
<p><b>13.1</b></p>	<p><b>მომსახურების ძალაში შესვლა;</b></p> <p>დღეების რაოდენობა უნდა იყოს: ათი დღე</p>

14.1	<p><b>ხელშეკრულების ვადის ამოწურვის თარიღი:</b></p> <p><b>დროის პერიოდი უნდა იყოს:</b> თხუთმეტი თვე</p>
21 ბ.	<p>კლიენტი იტოვებს უფლებას, განსაზღვროს საქმის მსვლელობისას უნდა იყოს თუ არა შემსრულებელი დისკვალიფიცირებული საქონლის წარმოებისგან სამუშაოსგან, არაშემსრულებლის საქმიანობისგან, იმ კონფლიქტის გამო, რომელიც აღწერილია 21.1.3 მუხლში.</p> <p><b>დიახ</b></p>
23.1	<p><b>დამატებითი დებულებები არ არის</b></p>
24.1	<p><b>რისკებისგან თავის დასაზღვევა უნდა მოხდეს შემდეგნაირად:</b></p> <p>(ა) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, მინიმუმი დაფარვა - 1.6 მილიონი ევრო</p> <p>(ბ) მესამე მხარის მოტორიანი გადასაზიდი საშუალების დაზღვევა პირობებით, იმ საშუალებების შესაბამისად, რომელიც მოქმედებს კლიენტის ქვეყანაში შემსრულებლის,</p> <p>ექსპერტების ან ქვე-კონტრაქტორის მიერ, კლიენტის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.</p> <p>(გ) მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა, მინიმალური დაფარვით კლიენტის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>(დ) დამსაქმებელთა პასუხისმგებლობა და მომუშავეთა სადაზღვევო კომპენსაციები ექსპერტთან და ქვე-კონტრაქტორთან დაკავშირებით, კლიენტის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად, ასევე ექსპერტის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორცაა: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევის, მოგზაურობის ან სხვა შესაბამისი დაზღვევა.</p>

<b>27.1</b>	გამოუყენებელი
<b>27.2</b>	გამოუყენებელი
<b>32.1</b> ა-დან ე-მდე	გამოუყენებელი
<b>32.1(ვ)</b>	გამოუყენებელი
<b>38.1</b>	<p>ხელშეკრულების ფასია: _____ [მიუთითეთ თანხა და ვალუტა თითოეული მისაღები ვალუტისთვის] ადგილობრივი ირიბი გადასახადების ჩათვლით.</p> <p>ნებისმიერი არაპირდაპირი ადგილობრივი გადასახადები, წარმოებული შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურებიდან, უნდა იქნას გადახდილი კლიენტის მიერ შემსრულებლის სასარგებლოდ.</p>
<b>39.1 and 39.2</b>	<p>კლიენტი იძლევა გარანტიას, რომ კლიენტი იხდის შემსრულებლის, ქვე-კონტრაქტორების და ექსპერტების სახელით ნებისმიერ არაპირდაპირი გადასახადებს, მოვალეობებს, გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა დაკისრებულ გადასახადებს, კლიენტის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, შემსრულებლის, ქვე-კონტრაქტორების და ექსპერტების მიმართ:</p> <p>(ა) ნებისმიერი გადასახადები, რომელიც გადაცემულია შემსრულებლების, ქვე-კონტრაქტორების და ექსპერტებისთვის (გარდა მოქალაქეებისა ან კლიენტის ქვეყანაში მუდმივი მოსახლეობისა), რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან.</p>



	<p>(ბ) ნებისმიერი აღჭურვილობა, მასალები და აქსესუარები შემოტანილი კლიენტის ქვეყანაში შემსრულებლის ან ქვე-კონტრაქტორების მიერ, მომსახურების გაწევის მიზნით და ასეთი შემოტანის შემდეგ, ამ ნივთების უკან წაღება.</p> <p>(გ) ნებისმიერი აღჭურვილობა იმპორტირებული მომსახურების გაწევის მიზნით და კლიენტის მიერ გაღებული სახსრებით და რომელიც განიხილება კლიენტის საკუთრებად.</p> <p>(დ) კლიენტის ქვეყანაში ნებისმიერი შემოტანილი ქონება შემსრულებლის, ქვე-კონტრაქტორების და ექსპერტების მიერ (გარდა მოქალაქეებისა ან მუდმივი მაცხოვრებლებისა კლიენტის ქვეყანაში), ექსპერტების კმაყოფაზე მყოფი პირების მიერ მათი პირადი გამოყენებისთვის და რომელიც სრული სახით იქნება უკან წაღებული მათ მიერ კლიენტის ქვეყნის დატოვების შემდეგ იმ პირობით, რომ:</p> <p>(I) შემსრულებელი, ქვე-კონტრაქტორი და ექსპერტები ვალდებული არიან დაიცვან სტანდარტული საბაჟო პროცედურები კლიენტის ქვეყანაში ნებისმიერი ქონების კლიენტის ქვეყანაში იმპორტირების დროს.</p> <p>(II) იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი, ქვე-კონტრაქტორები და ექსპერტები არ წაიღებენ, მაგრამ განკარგავენ ნებისმიერ ქონებას კლიენტის ქვეყანაში, რომელიც საბაჟო გადასახადებისაგან და გადასახადებისაგან უკვე გათავისუფლებულია, შემსრულებელს, ქვე-კონტრაქტორებს და ექსპერტებს, ამ შემთხვევაში შეიძლება, (ა) დაეკისროთ ამგვარი საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები, კლიენტის ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, ან (ბ) აუნაზღაურონ</p>
--	---

	<p>კლიენტს, თუ კლიენტს მათთვის ჰქონდა გადახდილი იმ ქონებაზე, რომლის იმპორტიც განხორციელდა მის ქვეყანაში.</p>
<b>41.2</b>	<p>გადახდის გრაფიკი:</p> <p>განვადებით გადახდისას სავალდებულოა დაცული იქნას გადახდის გრაფიკი იმ პირობებისთვის, რომელიც მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, დანართი A</p>
<b>41.2.1</b>	<p>შემდეგი დებულებები ვრცელდება ავანსისა და წინასწარი საბანკო გარანტიის დროს:</p> <p>(1) ავანსი [OF [მიუთითეთ თანხა] ადგილობრივ ან უცხოურ ვალუტაში უნდა განხორციელდეს 30 დღის ვადაში, კლიენტის მიერ წინასწარი საბანკო გარანტიის მიღებიდან. ავანსი დადგენილი იქნება კლიენტის მიერ გადასახადის პროპორციულად გადახდის გრაფიკის შესაბამისად,</p> <p>(2) საბანკო გარანტია უნდა იყოს ავანსის თანხის ოდენობის და ვალუტის.</p> <p>(3) საბანკო გარანტია შეწყდება, როდესაც ავანსი სრულად იქნება გადახდილი.</p>
<b>41.2.4</b>	<p>ანგარიშები:</p> <p>უცხოური ვალუტისთვის: [მიუთითეთ ანგარიში ].</p> <p>ადგილობრივი ვალუტისთვის: [მიუთითეთ ანგარიში ].</p>
<b>42.1</b>	<p>საპროცენტო განაკვეთი: [მიუთითეთ].</p>
<b>45.1</b>	<p>დაკავშირებული დავები წყდება არბიტრაჟის საშუალებით შემდეგი დებულებებს გათვალისწინებით:</p> <p>1. არბიტრების შერჩევა. მხარის მიერ წამოწყებული</p>

	<p>თითოეული დავა განხილული უნდა იქნას ერთი არბიტრის ან საარბიტრაჟო კოლეგიის მიერ, რომელიც შედგება სამი (3) არბიტრისგან, შემდეგი დებულებების შესაბამისად</p> <p>(ა) როცა მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავა ეხება ტექნიკურ საკითხებს, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ დაინიშნოს ერთადერთი არბიტრი, ან თუ ვერ შეთანხმდნენ არბიტრის ვინაობაზე ოცდაათი (30) დღის ვადაში იმ მხარის მიერ, რომელმაც წამოიწყო დავა, მხარეს შეუძლია მიმართოს FIDIC-ს ლოზანაში - შვეიცარია, არანაკლებ 5 ნომინანტის სიით, რომლის მიღების შემდეგაც მხარეები ფილტრავენ ამ სიას და რჩება ერთადერთი არბიტრი დავის გადასაწყვეტად. იმ შემთხვევაში თუ, უკანასკნელი ნომინანტი ვერ იქნა არჩეული ამგვარის სიის შედგენიდან 60 დღის ვადაში, თითოეული მხარის მოთხოვნით, FIDIC ნიშნავს არბიტრს ან სიის საფუძველზე ან სხვაგვარად.</p> <p>ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვერ თანხმდებიან, რომ დავა ეხება ტექნიკურ საკითხებს, კლიენტი და შემსრულებელი დანიშნავენ თითო არბიტრს, ხოლო ეს ორი არბიტრი ერთობლივად დანიშნავენ მესამე არბიტრს, რომელიც უხელმძღვანელებს არბიტრების კოლეგიას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეების მიერ დანიშნული არბიტრები ვერ დანიშნავენ მესამე არბიტრს 30 დღის ვადაში, მას შემდეგ რაც მხარეთა მიერ იქნებიან არჩეულები არბიტრები, მესამე არბიტრი, თითოეული მხარის მოთხოვნით, უნდა იქნას დანიშნული მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს გენერალური მდივნის მიერ, ჰააგა.</p> <p>გ) თუ ზემოაღნიშნული დავისას (პუნქტი -„ბ“) მხარე ვერ დანიშნავს არბიტრს 30 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც მეორე მხარე წარმოადგენს თავის არბიტრს, მხარეს შეუძლია მიმართოს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს გენერალურ მდივანს დაინიშნოს ერთი არბიტრი დავის განსახილველად, რომელიც დანიშვნის შემთხვევაში იქნება საქმის განმხილველი ერთადერთი არბიტრი.</p>
--	---

	<p><b>2. რეგლამენტი.</b></p> <p>გარდა აქ აღწერილი პროცედურებისა, საარბიტრაჟო პროცესები უნდა განხორცილდეს UNCITRAL-ს მოთხოვნების შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან.</p> <p><b>3. შემცვლელი არბიტრები.</b></p> <p>თუ რაიმე მიზეზით, დანიშნული არბიტრი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, უნდა დაინიშნოს შემცვლელი იმავე წესით, როგორც ინიშნება მთავარი არბიტრი.</p> <p><b>4. არბიტრების ეროვნება და კვალიფიკაცია.</b></p> <p>დამოუკიდებელი არბიტრი ან მესამე არბიტრი, 1 (ა) 1 (გ) პუნქტების შესაბამისად, უნდა იყოს საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივ ან ტექნიკურ ექსპერტად, განსახილველ დავაში დიდი გამოცდილების მქონე, რომელიც არ უნდა იყოს შემსრულებლის ეროვნების (შენიშვნა: თუ შემსრულებელი წარმოადგენს რამდენიმე პირს, დამატებით: „არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე წევრის ეროვნებას“) ან მთავრობის ქვეყნიდან. ამ მუხლის მიზნებისთვის „სამშობლო“ ნიშნავს:</p> <p>ა) შემსრულებლის რეგისტრაციის ქვეყანას (იმ შემთხვევაში თუ, შემსრულებელი წარმოადგენს ერთზე მეტ პირს, ან თუ მისი რომელიმე წევრი);</p> <p>ბ) ქვეყანა, სადაც შემსრულებლის (ან რომელიმე წევრის) ძირითადი ბიზნესი მდებარეობს;</p> <p>გ) ქვეყანა, საიდანაც არიან შემსრულებლის ( ან მხარეთა რომელიმე წევრის) აქციონერების უმრავლესობა;</p>
--	---

	<p>დ) ქვე-კონტრაქტორის ქვეყანა, სადაც დავა მოიცავს ქვე-ხელშეკრულებას.</p>
	<p><b>5. სხვა პირობები. ნებისმიერ საარბიტრაჟო პროცედურაზე:</b></p> <p>ა) თუ მხარეების მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, საქმის წარმოება ხორციელდება ჰოლანდიაში;</p> <p>ბ) ყველა მიზნებისთვის ინგლისური ენა არის ოფიციალური;</p> <p>გ) დამოუკიდებელი არბიტრის გადაწყვეტილება, ან არბიტრების უმრავლესობის (ან თუ არ არის ასეთი უმრავლესობა, მესამე არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება) იქნება საბოლოო და სავალდებულო და უნდა იქნას აღსრულებული კომპეტენტურ სასამართლოში, ხოლო მხარეები, ამასთანავე, უარს ამბობენ ნებისმიერი სახის პროტესტზე და პრეტენზიებზე, ასეთი აღსრულების შედეგად.</p>

**IV. დანართები**  
**დანართი ა - ტექნიკური დავალება**

[შენიშვნა: ეს დანართი მოიცავს საბოლოო ტექნიკურ დავალებას (TORS) კლიენტის მიერ შემუშავებულს და ORIO-ს მიერ დამტკიცებულს.]

.....

**დანართი ბ - წამყვანი ექსპერტები**

[ მიუთითეთ პერსონალის განლაგების გრაფიკი და წამყვანი ექსპერტების ხელმოწერილი რეზიუმეები (CV) შემსრულებლის ტექნიკური წინადადებიდან.]

.....

**დანართი გ - ჩაშლილი სახელშეკრულებო ბიუჯეტი**

[მიუთითეთ ფინანსური წინადადების გრაფიკი ერთეული განაკვეთებით იმისათვის, რომ მოხდეს ერთჯერადი ფასის ჩაშლა]

### დანართი დ - საავანსო გარანტიის ფორმა

[*შენიშვნა:* იხილეთ ხელშეკრულების ზოგადი პირობების მუხლი 41.2.1 და ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების მუხლი 41.2.1]

{გარანტიის ბრანკი ან SWIFT საიდენტიფიკაციო კოდი}

#### საბანკო გარანტია ავანსისათვის

თავდები: \_\_\_\_\_ [ჩაწერეთ კომერციული ბანკის სახელი და ფილიალის მისამართი]

ბენეფიციარი: \_\_\_\_\_ [სახელი და კლიენტის მისამართი]

თარიღი: \_\_\_\_\_ [ჩაწერეთ თარიღი]

ავანსის გარანტიის N: \_\_\_\_\_ [ჩაწერეთ ნომერი]

ჩვენ ვართ ინფორმირებულები, რომ \_\_\_\_\_ [შემსრულებლის სახელი ან კონსორციუმის სახელწოდება, იგივე სახით როგორც არის ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე] (შემდგომში - „შემსრულებელი“) დავდეთ ხელშეკრულება N. \_\_\_\_\_ [ხელშეკრულების ნომრის მითითება] შემდეგი თარიღით \_\_\_\_\_ [მიუთითეთ თარიღი] ბენეფიციართან, რათა უზრუნველვყოთ \_\_\_\_\_ [მომსახურების მოკლე აღწერა] (შემდგომში - „ხელშეკრულება“).

ამასთანავე, ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ხელშეკრულების პირობების თანახმად, ავანსი შეადგენს \_\_\_\_\_ [მიუთითეთ თანხა ციფრებში] () [თანხა სიტყვიერად] რომელიც მიღებულია ავანსის გარანტიის სახით.

შემსრულებლის თხოვნით, ჩვენ, როგორც თავდები, უპირობოდ ვკისრულობთ ვალდებულებას გადავუხადოთ ბენეფიციარს თანხა ან თანხები, რომელიც არ აღემატება საერთო ღირებულებას \_\_\_\_\_ [თანხა ციფრებში] () [თანხა სიტყვიერად] ჩვენს მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, ან უშუალოდ მოთხოვნის ფორმით, ან ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც თან ახლავს მას და განსაზღვრულია მასში მოთხოვნა, სადაც აღნიშნულია, რომ შემსრულებელმა დაარღვია სახელშეკრულებო

ვალდებულება, ვინაიდან მან ვერ დაფარა ავანსი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იმ თანხის მითითებით, რომელიც ვერ დაფარა შემსრულებელმა.

ეს არის პირობა ნებისმიერი პრეტენზიისა და ამ გარანტიის საფუძველზე, უნდა განხორციელდეს გადახდა, რადგან ზემოხსენებული ავანსი უნდა იქნას მიღებული შემსრულებლის მიერ მის ანგარიშზე ----- [ბანკის სახელწოდება და მისამართი]

ამ გარანტიის მაქსიმალურმა თანხამ უნდა დაიწიოს ავანსის გადახდით, რომელიც დაფარულია შემსრულებლის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია დამოწმებულ განცხადებებსა ან ინვოისებში, აღნიშნული როგორც „გადახდილია“ კლიენტის მიერ, რომელიც უნდა იქნას ჩვენთვის წარმოდგენილი. ეს გარანტია იწუება, ჩვენს მიერ უკანასკნელად გადახდის მოწმობის მიღებისას ან გადახდილი ინვოისის მიღებისას, რომელიც მიუთითებს, რომ შემსრულებელმა ფრულად დაფარა ავანსის თანხა, ან \_\_\_ დღე \_\_\_\_\_ [თვე], \_\_\_\_\_ [წელი], რომელიც უფრო ადრე განხორციელდა. საბოლოოდ, ნებისმიერი მოთხოვნა გადახდაზე ამ გარანტიის მიხედვით, მიღებული უნდა იქნას ჩვენს მიერ ამ ოფისში ან ამ თარიღამდე.

ეს მოთხოვნა ექვემდებარება გარანტიის მოთხოვნის ერთიან წესებს (URDG) 2010 წლის გამოცემა, ICC პუბლიკაცია No. 758.

---

[ხელმოწერები]

*შენიშვნა: ყველა კურსივირებული ტექსტი არის მხოლოდ მისათითებელი მიზნებისთვის, რათა დახმარება გაუწიოს ამ ფორმის მომზადებას და უნდა იქნას წაშლილი საბოლოო შედეგიდან.*

დანართი ე: ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია



1.1. მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მიმწოდებლისათვის დაბრუნება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრულად მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების გაფორმებისთანავე.

1.2. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის (ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, უხარისხოდ, არჯეროვნად შესრულება და ა.შ.) შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს გამოიყენოს საბანკო გარანტია ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

1.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოაწოდებს საქონელს იგი ვალდებულია შესაბამისი დღეებით გააგრძელოს 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.

### დანართი ვ - შესაბამისობის ფორმები

[მიუთითეთ ხელმოწერილი შესაბამისობის ფორმები, რომელშიც პრეტენდენტი აცხადებს, რომ:]

- ხელშეკრულების შესრულების პროცესში პრეტენდენტი, ისევე, როგორც მისი პერსონალი, აგენტები, ქვე-კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები, მომსახურების გამწევეები, მიმწოდებლები და/ან მათი თანამშრომლები, დაიცავენ IFC სახელმძღვანელო სტანდარტებს ( 2012) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს;
- არც პრეტენდენტი და არც მისი ქვეკონტრაქტორი, მომსახურების გამწევი და/ან მიმწოდებელი არ გამოიყენებს იძულებით და/ან ბავშვთა შრომას, როგორც ეს განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29, 105, 138 და 182 კონვენციებს;
- არც პრეტენდენტი და არც მისი მონაწილეები, აგენტები, ქვე-კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორები, მომსახურების გამწევი და/ან მიმწოდებლები, არ იქნებიან ჩართულები პირდაპირ ან არაპირდაპირ ქრთამის აღებაში ან სხვა არაკანონიერ ქმედებაში, კორუფციაში, თაღლითობაში, იძულებით ან ხელისშემშლელ ქმედებაში, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან;
- ხელშეკრულების შესრულების პროცესში, პრეტენდენტები, ისევე როგორც მისი პერსონალი, აგენტები, ქვე-კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები, მომსახურების გამწევი, მიმწოდებლები და/ან მათი თანამშრომლები, დაიცავენ OECD -ს სახელმძღვანელოს საერთაშორისო საწარმოებისთვის (2011).



# დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

## ტექნიკური დავალება

### ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერა „საქართველო, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის“ დეტალური საინჟინრო პროექტის დამუშავებისათვის

(რეგისტრაციის N- ORIO13/GE/01)

#### ა. შესავალი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, თბილისი, საქართველო, ჰოლანდიის „ორიო“ პროგრამას, რომელსაც მართავს ნიდერლანდების სამეფოს საწარმოთა სააგენტო “RVO“, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით, მიმართა გრანტის მისაღებად „ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტისათვის. (რეგისტრაციის N-ORIO13/GE/01). პროექტი ითვალისწინებს საქართველოს უმსხვილესი სარწყავი და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციას, რომლის თვითდინებით სარწყავი ქსელი ემსახურება 30 000 ჰა-ზე მეტ ფართობს. ზემო სამგორის სარწყავ სისტემას მართავს სახელმწიფო კომპანია „საქართველოს მელიორაცია“.

განვითარების თანამშრომლობის და საერთაშორისო ვაჭრობის მინისტრმა აპლიკანტს - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიანიჭა გრანტი, პროექტის პირველი ეტაპის - ე.წ. „განვითარების ეტაპის“ განხორციელებისთვის. განვითარების ეტაპი არის კვლევების ეტაპი, რომლის შედეგს წარმოადგენს პროექტის გეგმა, სადაც აღწერილია ინვესტირების და ექსპლოატაციის ეტაპები (განხორციელების, ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ეტაპები). განვითარების ეტაპის დასრულების შემდეგ, „ორიო“ განხორციელებს პროექტის გეგმის შეფასებას, შემდგომში განხორციელების, ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ეტაპებისთვის და მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ეტაპებისთვის გრანტის მინიჭების თაობაზე.

განვითარების ეტაპის ამოცანაა პროექტის ფაქტიური განხორციელებისათვის საჭირო ყველა მოსამზადებელი სამუშაოს დასრულება. აღნიშნული ითვალისწინებს პროექტის მომზადების პეროდში წამოჭრილი მოსაზრებების დადასტურებას, შესაბამისი ინფორმაციის განახლებას და ტექნიკურ, სოციალურ, გარემოს დაცვის და ინსტიტუციონალურ ასპექტებზე დეტალური კვლევების და ანალიზის ჩატარებას. განვითარების ეტაპის ღონისძიებების შედეგები შემუშავდება პროექტის განხორციელების საბოლოო და კომპლექსურ გეგმაში.

#### ბ. ზოგადი ნაწილი

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის 55% ჩაბმულია სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში და მათი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 9%-ს შეადგენს, ცხადია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონებში სოფლის მოსახლეობის შემოსავლების და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება


სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება მეტწილად დამოკიდებულია წყლის დროულ და ადეკვატურ მიწოდებაზე; ასევე დაკავშირებულია აგრო ნედლეულის მიწოდებასთან, ინვესტირებასთან მოსავლის შემდგომ გადამამუშავებასთან, აგრო პროდუქციის გადამამუშავებასთან და/ან ექსპორტის და ფუნქციონალურ ღირებულებათა ჯაჭვთან. ზემოხსენებული ასპექტების უზრუნველყოფა ხორციელდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთელი რიგი პროგრამების და პოლიტიკის საშუალებით და ნაწილობრივ, ევრო კავშირის მხარდაჭერით. საქართველოს მთავრობა ინვესტირების მოზიდვის მიზნით, უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ და შეღავათიან სესხებს. თუმცა, სარწყავი წყლის მიწოდება, კვლავ შეფერხებით ხორციელდება, რადგან არსებული სისტემების დიდი ნაწილი განადგურებულია და აღარ ფუნქციონირებს. ზემოაღნიშნულმა გამოიწვია მცირე ფერმერების დიდი ნაწილის გადასვლა ურწყვად ნატურალურ მეურნეობებზე და მესაქონლეობაზე და ძვირადღირებული კულტურების განვითარების შეზღუდვა.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც გადაჭიმულია თბილისიდან ჩრდილო აღმოსავლეთით, ემსახურება 30,285 ჰა ფართობს. სისტემა შედგება სარწყავი და სადრენაჟე არხების ქსელისგან და მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პალდოს სათავე ნაგებობას
- ზედა მაგისტრალურ არხს ლილო მარტყოფის არხთან ერთად
- თბილისის წყალსაცავს
- ქვედა მაგისტრალურ არხს
- მეორე რიგის გამანაწილებელ არხებს
- მესამე რიგის გამანაწილებელ არხებს
- სადრენაჟო ინფრასტრუქტურას.

სისტემა წყალს იღებს მდინარე იორიდან. ზემო სამგორის მაგისტრალური არხის საერთო სიგრძე შეადგენს 82 კმ. აქედან, ზედა მაგისტრალური არხი - 39,8 კმ-ია, ქვედა მაგისტრალური არხი --42 კმ. მეორე რიგის გამანაწილებელების სიგრძეა 236 კმ. სისტემა გადაჭიმულა თბილისის ჩრდილოეთიდან ქვეყნის აღმოსავლეთამდე. გარდა ამისა, სისტემა მოიცავს 35 კმ სიგრძის სადრენაჟე წყალშემკრებებს (კოლექტორებს), ძირითადად ქვედა მაგისტრალური არხის ზონაში.

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება



სამიზნე საპროექტო ფართობზე, ზემო სამგორის სარწყავ სისტემაში 27, 5321 მეურნეობაა, რომლის 75% -ს შეიძლება მიენიჭოს მცირე მეურნეობის კვალიფიკაცია. მხოლოდ 10% ფლობს 4,5 ჰექტარზე მეტ მიწას. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ხორბალი, სიმინდი, იონჯა, ბალახი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი და ხილი. მეურნეობების დაახლოებით 15% სარგებლობს ზემო სამგორის მოქმედი საირიგაციო სისტემით (19% ზედა მაგისტრალური არხის ტერიტორიაზე და 12% ქვედა მაგისტრალურ არხის ტერიტორიაზე).

საირიგაციო მომსახურება ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის ზემო სამგორშიც, მეტისმეტად გაუარესდა 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ გაუარესებას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი, მათ შორის:

- **ფინანსური რესურსების სიმცირე.** 1990 წელს გამოყოფილი ირიგაციის ბიუჯეტი 45 მილიონი დოლარიდან 1993 წელს 5 მილიონ დოლარამდე შემცირდა და იმავე დონეზე დარჩა 2005 წლამდე.
- **სუსტი ინსტიტუციური საფუძვლები.** საირიგაციო სისტემის მართვა ბოლო 20 წლის განმავლობაში გადაცემული ჰქონდათ სხვადასხვა პირებს მთელი რიგი ორგანიზაციული და ფინანსური სტრუქტურებით.
- **სუსტი წყალმომხმარებელთა ორგანიზაციები და ნდობა.** ინსტიტუციური საფუძვლების ცვლილებების პარალელურად, 2004-2006 წლებში განვითარდა ფერმერების თანამშრომლობის მოდალურობა (სამელიორაციო ასოციაციები). ამჟამად სამელიორაციო ასოციაციები აღარ ფუნქციონირებენ, საფასურის ამოღება ნელი და რთული პროცესია. ფერმერებს არაოფიციალური კონტაქტი აქვთ საირიგაციო ორგანოებთან, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა გაუარესდა მრავალი წლის განმავლობაში სარწყავი წყლის არასაიმედო მიწოდების გამო.

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

- **საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გაუმართავი ტექნიკური მდგომარეობა.** სისტემის უდიდესი ნაწილის ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებამ მნიშვნელოვნად გაართულა შექმნილი ტენდენციის გამოსწორება. წლების განმავლობაში პრაქტიკულად არანაირი საექსპლუატაციო ან რეგულარული სარემონტო სამუშაო არ ჩატარებულა სისტემაზე, რამაც გამოიწვია მექანიკური მორწყვის სისტემების თითქმის 100%-ის და თვითდინებით მორწყვის სისტემების 80%-ის სრული მწყობრიდან გამოსვლა.
- **საფასურის გადახდის უუნარობა.** რადგან წყლის მიწოდება მეურნეობებისთვის არასაიმდო გახდა, მათ ხელი მოჰკიდეს მეცხოველეობას და ურწყვადი კულტურების კულტივაციას. საშუალოდ ერთ ფერმერზე გამოყოფილ 1,1 ჰექტარ მიწაზე ასეთი სახის საქმიანობა არ იძლევა იმდენ შემოსავალს, რომ დაკმაყოფილდეს ფერმერების და მათი ოჯახების ძირითადი საარსებო მოთხოვნები. საირიგაციო მომსახურების საფასურის გადახდა ამიტომ მეტისმეტად მძიმე ტვირთად დააწვა მცირე ფერმერებს. ამას შედეგად მოჰყვა საირიგაციო ორგანოების ძალიან დაბალი შემოსავალი, რომლებიც თავიანთი მხრივ ვერ ახერხებდნენ ინვესტირებას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში.

### გ. პროექტი

პროექტის მიზანია ეკონომიკურად აქტიური ფერმერების მონაწილეობის გაზრდა საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძლიერებულ კომერციალიზაციაში. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის გზით.

პროექტი ითვალისწინებს შემდეგს:

- **ინფრასტრუქტურული სამუშაოები**

ეს კომპონენტი მოიცავს სამშენებლო სამუშაოებს, რომლებიც საჭიროა ზემო სამგორის საირიგაციო და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაციისთვის. 2007 წელს, მომზადდა ზემო სამგორის რეაბილიტაციის ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება (ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. „Jacobs UK Ltd., 2007). აღნიშნული და ბოლო დროს ჩატარებული სხვა კვლევების საფუძველზე, განისაზღვრა შედეგი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება:

სამშენებლო სამუშაოები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ზედა მაგისტრალური არხი</li> </ul>
მაგისტრალური არხი
ტორკრეტირება, ფარები და სარქველები
ლილო-მარტყოფის მაგისტრალური არხი
წმენდა და გათხრა
დემონტაჟი და ბეტონის სამუშაოები
მიწები
ფარები და ფოლადის კონსტრუქციები
საგზაო სამუშაოები
მეორე რიგის გამანაწილებელი არხები:
წმენდა და მიწის სამუშაოები
საგზაო სამუშაოები

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

	დემონტაჟი და მომზადება ასაწყობი მასალები და პირაპირება ბეტონის სამუშაოები ფოლადის ფარები და სარქველები ფოლადის მილები ახალი ნაგებობები
მესამე რიგის გამანაწილებელი არხები და სავლე სამუშაოები:	გათხრები
	დრენაჟი:
	გათხრები
	• ქვედა მაგისტრალური არხი
	მეორე რიგის გამანაწილებლები:
	წმენდა და მომზადება
	საგზაო სამუშაოები
	დემონტაჟი და მომზადება
	ნაკერები და პირაპირება (ზედაპირის მოპირკეთება)
	ბეტონის სამუშაოები
	ფოლადის კონსტრუქციები
	სხვადასხვა
	ახალი ნაგებობები
მესამე რიგის გამანაწილებელი არხები და სავლე სამუშაოები :	გათხრები, ახალი ნაგებობები
	დრენაჟი:
	გათხრები

- **საქართველოს მელიორაციის კომპანიის ინსტიტუციური და პოტენციალის გაუმჯობესება**

საქართველოს მელიორაციის კომპანიის თანამშრომლებს თბილისის სათავე ოფისში და ვარკეთილის სავლე ოფისში ჩაუტარდებათ გადასამზადებელი კურსები პოტენციალის ამაღლების მიზნით, რათა კომპანიამ ეფექტურად მართოს, ექსპლოატაციაში მიიღოს და შეინახოს და მოუაროს ზემო სამგორის საირიგაციო სისტემა. საქართველოს მელიორაციის კომპანიის თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარდებათ ადმინისტრირებასა და ფინანსურ მართვაში, ხარჯთაღრიცხვასა და წყლის მოხმარების საფასურის მოკრებაში, საირიგაციო მომსახურების უზრუნველყოფაში, აქტივების ექსპლოატაციაში მიღებასა და მოვლაში, კლიენტებთან ურთიერთობის მართვასა და ა. შ. ეს ელემენტი მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს მელიორაციის კომპანია ამჟამად თავიდან ქმნის წყლის მოხმარებლების ასოციაციებს. პროექტი უზრუნველყოფს საქართველოს მელიორაციის კომპანიის შესაბამისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარებას და რეკომენდაციების მიწოდებას, რათა დახმარება გაუწიონ ასოციაციებს ფერმერებისთვის რეკომენდაციების გაწევაში ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებით.

- **ცოდნის და გამოცდილების გაზიარების და მონაწილეობის (ჩართულობის) პროგრამა**

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

შემოთავაზებული საირიგაციო ინფრასტრუქტურის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების უზრუნველყოფაში ფერმერების ნდობის აღსადგენად და მათთვის ინფორმაციის მისაწოდებლად გარკვეული (ძვირადღირებულ სასოფლო-სამეურნეო) კულტურების წარმოებით შემოსავლების გამომუშავების და საბაზრო საშუალებების შესახებ, პროექტი ითვალისწინებს ცოდნის და გამოცდილების გაზიარების და მონაწილეობის (ჩართულობის) პროგრამას. აღნიშნული მოიცავს ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მომსახურების უზრუნველყოფას ინფრასტრუქტურის არსებული და პოტენციური მომხმარებლებისთვის : 1. შიდა სამეურნეო დონეზე წყლის ეფექტურ მოხმარებაზე, 2. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დივერსიფიკაციაზე, 3. ასოცირებულ აგრონომიულ პრაქტიკაზე. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მომსახურების უზრუნველყოფას განახორციელებენ ცოდნის გაზიარების სამსახურის ოფიცრები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს. მომსახურება მოიცავს ტრენინგებს და /ან პრეზენტაციებს. პროგრამა მიმართულია ზემო სამგორში არსებულ და პოტენციური მეურნეობებზე და მისი მიზანი იქნება ინფრასტრუქტურის გამოყენების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს მესამე რიგის გამანაწილებელი და შიდა სამეურნეო ქსელის განვითარებას ფერმერების მონაწილეობით, მათთან მუდმივი კონსულტაციების საფუძველზე და მათ, როგორც წყალმომხმარებლების, ორგანიზაციულ გაძლიერებას და მონაწილეობას სარწყავი წყლის მართვაში და სისტემის მოვლა-შენახვაში.

- **ექსპლოატაცია, მოვლა და შენახვა**

ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ეტაპი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის უწყვეტ ექსპლოატაციას. ეს კომპონენტებია:

- **საქართველოს მელიორაციის კომპანიის თანამშრომლებისთვის გადასამზადებელი კურსის ჩატარება.** დროის თანაბარი ინტერვალებით, ექსპლოატაციის, შენახვა-მოვლის ეტაპზე, საქართველოს მელიორაციის კომპანიის მთავარი შტატისთვის ჩატარდება გადასამზადებელი ტრენინგები პროექტის განხორციელების ეტაპის ტრენინგებთან დაკავშირებით. ტრენინგები უზრუნველყოფს კომპანიის თანამშრომლების შესაბამის მომზადებას და მოდერნიზაციას, გრძელ ვადიანი პერიოდში, ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის მართვის და ექსპლოატაციის მიზნით.
- **ცოდნის და გამოცდილების გაზიარების და მონაწილეობის (ჩართულობის) უწყვეტი პროგრამა.** საქართველოს მელიორაციის კომპანია გააგრძელებს საირიგაციო სისტემაში ფერმერების ნდობის აღდგენას, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სარწყავი წყლის, სარწყავი ინფრასტრუქტურის მართვაში მესამე რიგის გამანაწილებელი ქსელის და შიდა სამეურნეო დონეზე და შეეცდება მხარი დაუჭიროს საბოლოო მომხმარებლების მიერ მაღალ შემოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის სრული ათვისების მიზნით; ამ მიზნით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების სამსახურის ოფიცრებს ჩაუტარდებათ განახლებული ტრენინგები, რათა აამაღლონ ფერმერთა ცნობიერება სოფლის მეურნეობის სექტორის პოტენციალზე, მათ მიერ ძვირადღირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყენების მიზნით და ტრენინგები ჩაუტარონ წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებს წყლის მართვის კუთხით მესამე რიგის გამანაწილებელი



## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

ქსელის და შიდა სამეურნეო დონეზე. პროფილაქტიკური და/ან არაგეგმიური ტექნიკური მომსახურება. ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ეტაპზე ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, პროექტი ითვალისწინებს საირიგაციო სისტემის პროფილაქტიკურ და/ან არაგეგმიური მომსახურებას.

### დ. განვითარების ეტაპზე ჩასატარებელი კვლევის კომპონენტები

აღნიშნული დავალების მიზანია:

1. (შედეგი 1: ადგილის კვლევა) -- პროექტის მოსამზადებლად, საჭირო მინიმალური ინფორმაციის შეგროვება, დაზუსტება და/ან დაკომპლექტება არხების და ნაგებობების მდგომარეობის, ტოპოგრაფიის, გეოლოგიის, კლიმატის, აგრონომიის, ნიადაგის და ჰიდროლოგიის შესახებ.
2. (შედეგი 2: გარემოზე და სოციალური ზემოქმედების ანალიზი და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმა) -- გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების განხორციელება, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC Performace standards-ების, განსაკუთრებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC 5-ე სტანდარტის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში, გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმის და პროექტთან დაკავშირებით, რეკომენდაციების შემუშავება;
3. (შედეგი 3: ფინანსური და ეკონომიკური კვლევა) - სარწყავი სისტემის სრული ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის ჩატარება, ძირითადი მოსაზრებების გათვალისწინების, ასევე ტარიფების კვლევის, საფასურის გადახდის სურვილის და შესაძლებლობის (უნარის) ანალიზის ჩათვლით.
4. (შედეგი 4: დეტალური პროექტი) - ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის დეტალური პროექტის შემუშავება, მაგისტრალური არხის, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებელი არხების და დამხმარე ნაგებობებს ჩათვლით, მაგრამ იმ სამუშაოების გამოკლებით, რომლებიც განხორციელდა შპს „კალასის“ და შპს „სითისის“ მიერ 2013-2015 წლებში. (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამუშაოების ჩატარება და ჩაბარება განხორციელდა ტექნიკურად გამართულად)

### ე. სამუშაოების მოცულობა

ტექნიკური კონსულტანტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს შედეგების მიღება შემდეგ ძირითად სფეროებში:

- ადგილის კვლევა (შედეგი 1)
- გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმა (შედეგი 2)
- ფინანსური და ეკონომიკური კვლევა (შედეგი 3)
- დეტალური პროექტი (შედეგი 4)

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

უფრო კონკრეტულად, ტექნიკურ და ეკონომიკურ კონსულტანტს ევალება უზრუნველყოს სხვადასხვა დავალებებთან დაკავშირებული შემდეგი შედეგები:

### დავალება 1. ადგილის კვლევა (შედეგი 1)

ადგილის კვლევის შედეგს წარმოადგენს ზემო სამგორის სარწყავ და სადრენაჟე სისტემაზე სხვადასხვა ტიპის არხების და ჰიდრაულიკური ნაგებობების მდგომარეობასთან დაკავშირებული გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, ჰიდროლოგიური და ტექნიკური ასპექტების შემუშავების საფუძველზე მომზადებული სიტუაციური ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება არა მარტო ტექნიკური მონაცემები, ასევე ფერმერთა მოსაზრებები სისტემის კომპონენტებზე და შეხედულებები სარწყავი წყლის მართვის საუკეთესო პრინციპებზე. საწყის ეტაპზე სამელიორაციო სისტემების კომპანიაში არსებული მონაცემების გამოყენებით, კვლევა უზრუნველყოფს სისტემის განახლებულ ანალიზს და რეკონსტრუქციას სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის კვლევას წყლის პროპორციულად გაყოფის შესაძლებლობაზე და წყლის ორგანიზების საუკეთესო გზებზე.

ღონისძიებები:

#### (ძირითადი ინფორმაცია)

- სარწყავი სისტემის მდებარეობის, მეორე და მესამე რიგის გამანაწილებელი ქსელების მომსახურების ფართობის და წყალაღების წყაროს მონაცემთა განახლება
- სარწყავი სისტემის ძირითადი ტექნიკური პარამეტრების აღწერის განახლება (სათავე ნაგებობა, მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი ქსელი), წყალსატარის მიხედვით.
- მაგისტრალური არხების გეოსაინფორმაციო სისტემების მონაცემების დაზუსტება და ყველა პირველი და მეორე რიგის გამანაწილებელი არხების და შესაბამისი სამუშაოების გეოსაინფორმაციო მონაცემების აღება.
- მდინარე იორის ჰიდროლოგიური მონაცემების დაზუსტება
- ტოპოგრაფიული კვლევის ჩატარება და ტოპო-რუკის შედგენა, მასშტაბი 1:500
- არსებული გეოლოგიური რუკების დაზუსტება და დამატებითი გეოლოგიური კვლევის ჩატარება (იქ, სადაც აკლია ინფორმაცია)
- არსებული ნიადაგის რუკების დაზუსტება და დამატებითი ნიადაგის კვლევის ჩატარება (იქ, სადაც აკლია ინფორმაცია).
- წყალ-მეჩხერ სიღრმეებზე ნიადაგის შემოწმება, რომელიც შეიცავს ხსნადი მარილების და თაბაშირის მაღალ კონცენტრაციას და იოლად იშლება, როგორც დადგენილია 2007 წელს განხორციელებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში.
- ფაქტიური და სავარაუდო სარწყავი მეურნეობების დაგეგმვის რუკის შედგენა

#### [ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია]

- სავსე ინვენტარიზაციის ჩატარება, თითოეული არხის ტექნიკური მდგომარეობის, ფუნქციონირების და სისტემაში წყლის სამუშაოების (მაგ: გზები, ხიდები და სანიაღვრეები) აღწერით და შესაბამისი პრობლემების და რეაბილიტაციის საჭიროებების გაანალიზება
- წყალმომხმარებლებთან და ტექნიკოსებთან კონსულტაციების შემდეგ, არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის წარმოდგენა (თავდაპირველ პროექტთან და ექსპლოატაციასთან შედარებით)

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

- არხების ქსელის გრძივი კვეთის წარმოდგენა, 1:2000 და 1:100 ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მასშტაბში და ტიპიური განივი კვეთების წარმოდგენა
- შემოთავაზებული ნაგებობების დატანა UTM კოორდინატთა სისტემაში, მასშტაბი 1: 200
- მაგისტრალური არხის, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებელი არხების გამტარიანობის (განივი კვეთი) შეფასება, მომსახურების ფართობის, მიწის განაწილების, სასოფლო სამეურნეო კულტურების მოდელირების და რწყვის ნორმების გათვალისწინებით.


### [რეაბილიტაციის საჭიროებები და პრინციპები]

- მომსახურების ფართობზე სარწყავი წყლის საიმედო მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით არხების და ჰიდრავლიკური ნაგებობების რეაბილიტაციის საჭიროებების შეფასება, განსაკუთრებით არსებული ტორკრეტის და პლასტმასის ტექნოლოგიების, რომლებიც გამოყენებული იქნა მეორე და მესამე რიგის გამანაწილებელ არხებზე.
- სისტემის თითოეული ელემენტისთვის რეაბილიტაციის საჭიროების აღწერა, გაანგარიშება და განსაზღვრა.
- საველე რწყვის მეთოდების შეთავაზება შიდა-სამეურნეო დონეზე სხვადასხვა კულტურების მოდელირებისთვის.
- არსებული სექმის საფუძველზე, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ზომის და ორგანიზაციული სტრუქტურის შეთავაზება, ჰექტრების და კომლების რაოდენობის მითითებით.

### [წყალსამეურნეო ბალანსი]

- სიონის და თბილისის წყალსაცავების, ასევე მდინარე იორის ჰიდროლოგიური მახასიათებლების, წყლის ხარჯის და ხარჯის ცვალებადობის, წყლის მართვის რეგულაციების დაზუსტება: წყლის მინიმალური და მაქსიმალური ხარჯი, ჰიდროგრაფია, სედიმენტაცია (დალექვა) და აღნიშნული წყაროებიდან წყლის ხარისხის ანალიზის ჩატარება.
- წყალზე არსებული მოთხოვნის დაზუსტება ჰიდრო-ტურბინებში და ქვემო სამგორის სარწყავ სისტემაზე.
- შესაბამისი კლიმატური მონაცემების დაზუსტება: ნალექები, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ევაპოტრანსპირაცია, ტენიანობა, ქარის სიჩქარე, მზის ნათების საათები
- სარწყავი წყლის მოთხოვნების გაანგარიშება სხვადასხვა სეზონებზე, ძირითადი (სამომავლო) სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის
- სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოდელირებისათვის წყლის ხარჯის განსაზღვრა (ანუ წყლის ხარჯი, რაც ფერმერებს შეუძლიათ დაარეგულირონ)
- სარწყავი მოთხოვნების პიკის დადგენა, რაც უნდა უზრუნველყოს სისტემამ
- მორწყვის არსებული და პროგნოზირებული მარგი ქმედების კოეფიციენტის დადგენა მაგისტრალურ, პირველ და სხვა რიგის გამანაწილებელ არხებზე და შიდა სამეურნეო დონეზე.
- ფერმერებისთვის წყლის გარანტირებული მიწოდების პროგნოზირება თვეების მანძილზე, სისტემის სხვადასხვა ნაწილში
- ზემოხსენებული ინფორმაციების საფუძველზე წყალსამეურნეო ბალანსის შემუშავება მთელი ზემო სამგორის სარწყავი სისტემისთვის, მათ შორის წყალზე მოთხოვნა ჰიდრო ტურბინებზე და ქვემო სამგორის სარწყავ სისტემაზე.

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება



### [წყლის განაწილების ორგანიზება]

- წყლის განაწილების მართვის პროცესის აღწერა (მაგ: ისტორიული სახელმძღვანელოები) იმ პერიოდისთვის, როდესაც სისტემა გამართულად ფუნქციონირებდა (ან დოკუმენტური პროცედურებით ან წარსულში დასაქმებულ ოპერატორებთან გასაუბრების საშუალებით)
- წყალსატარის გასწვრივ (წყლის ძირითადი წყაროდან ფერმერების მიწის ნაკვეთებამდე) იმ წერტილის დადგენა, საიდანაც სისტემის გამართულად ფუნქციონირების დროს, დაიწყო წყლის წრიული ბრუნვა(როტაცია)
- ფერმერებთან გამართული კონსულტაციების და დისკუსიების საფუძველზე:
- წყლის განაწილების მართვის ახალი პრინციპების და პროცედურების შეთავაზება, რაც მესამე რიგის გამანაწილებელ ერთეულებზე წყლის დამოუკიდებლად მართვის და განაწილების საშუალებას იძლევა; მეორე რიგის გამანაწილებლების დონეზე სარწყავი წყლის მართვაში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების მონაწილეობის შესაბამისი პრინციპების (მეთოდების) შეთავაზება;
- მესამე რიგის გამანაწილებელ ქსელზე წყლის განაწილების გრაფიკის მომზადება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოდელირებისთვის
- წყლის განაწილების შესაბამისი (შესაძლოა შეცვლილი) ღონისძიებების და გამანაწილებელი ნაგებობების შეთავაზება
- შიდა სამეურნეო, მესამე და/ან მეორე რიგის გამანაწილებლის დონეზე წყლის პროპორციულად და როტაციულად განაწილების შესაძლებლობის და განუხორციელებლობის შეფასება; იმ ოპტიმალური წერტილის დადგენა, საიდანაც მოხდება წყალმომხმარებლებისთვის წყლის მართვაზე პასუხისმგებლობის გადაცემა

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

[მონაწილეობა პროექტში ჩართულ მხარეებთან]

- პროექტში ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა (მათ შორის ფერმერებთან), მოპოვებული მონაცემების დაზუსტების, გამოცდილებების შეფასების, სასოფლო-სამეურნეო კულტურის შერჩევის და რწყვის მეთოდების ფარგლებში პრეფერენციების განსაზღვრის მიზნით და შესაძლო გაუმჯობესების, წყლის განაწილების და ორგანიზაციული პრინციპების განხილვა;
- ერთ-ერთ მესამე რიგის გამანაწილებელ არხზე საპილოტე პროგრამის განხორციელება, დადგენილი მომსახურების ფართობის საფუძველზე: მესამე რიგის გამანაწილებლის მომსახურების ფართობზე მიწის მფლობელების დადგენა და ორგანიზება; ფერმერთა მონაწილეობის(ჩართულობის) გზით მესამე რიგის სარწყავი ინფრასტრუქტურის (ირიგაცია, დრენაჟი, მისასვლელი გზები) რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება, რაც დეტალურ პროექტში ყველა მესამე რიგის გამანაწილებელი კვანძის დაგეგმვის შემუშავების ნიმუში გახდება.

ჯგუფის შემადგენლობა:

საჭირო იქნება ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, რომელსაც დახმარებას გაუწევს სულ მცირე აგრონომიულ და სოციოლოგიურ საკითხებში გამოცდილების მქონე ტექნიკური პერსონალი. დავალების სავარაუდო პერიოდია 3 თვე. ქვემოთ წაროდგენილია ძირითადი ექსპერტების ჩამონათვალი:

- ირიგაციის/მშენებელ-ინჟინერი--ჯგუფის ხელმძღვანელი
- ჰიდროლოგი/წყლის რესურსების ექსპერტი

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დასაკომპლექტებელი ჯგუფის სრული მიმოხილვა, ჯგუფის წევრების რეზიუმეების, სავასურის და დროის განაწილების გრაფიკის ჩათვლით, რომელიც თანდართული იქნება დიდი ფორმატის ცხრილების სახით.

### **დავალება: 2 გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმა (შედეგი 2)**

უნდა ჩატარდეს გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების კვლევა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC Performance Standards-ების შესაბამისად, შემოთავაზებული პროექტის ნებისმიერი შესაძლო ეკოლოგიური და/ან სოციალური უკუ ზემოქმედების შეფასების და საჭიროების შემთხვევაში, შემასუბუქებელი ღონისძიებების თაობაზე, რეკომენდაციების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმაში შემუშავებული შემამსუბუქებელი ღონისძიებები, გათვალისწინებული იქნება განხორციელების გეგმაში და საქართველოს მელიორაციის კომპანიის რეგულარულ ოპერაციებში. კვლევაში გათვალისწინებული იქნება მიწის მიტაცების რისკის შეფასება და სხვა უარყოფითი ზემოქმედებები სამიზნე ფართობზე, კერძოდ მცირე მეურნეობებში და ისეთ მეურნეობებში, რომლებსაც მართავენ ხანდაზმულები (ასაკოვნები) და ქალები და შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რისკების განეიტრალების მიზნით.

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

ღონისძიებები:

- კონკრეტული კომპლექსის დადგენა და დახასიათება, რომლებიც სისტემაზე იქნებიან დაკავშირებული
- ზემოაღნიშნულ კომპლექსში იმ ადამიანების რაოდენობის დადგენა, რომლებიც შემოსავალს იღებენ მეურნეობიდან
- სისტემის ზონაში არსებულ ყველა მიწაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის დაზუსტება ელექტრონულ კადასტრში; მიწის დაკავების(დატვირთვის) გეგმის მომზადება/ დაზუსტება, საკადასტრო რუკაზე სისტემის დატანით;
- სისტემის ზონაში არსებულ მიწებზე საკუთრების უფლების დამტკიცების დროული უზრუნველყოფის მიზნით, ღონისძიებების შეთავაზება
- გარემოს დაცვის და სოციალური რისკების წინასაპროექტო (მოსამზადებელი) კვლევები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: შრომის და სამუშაო პირობები; რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია (მათ შორის პესტიციდების გამოყენების რისკი); საზოგადოების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცულობა; მიწის შეძენა და იძულებითი განსახლება; ბიოდივერსიულობის კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა(მათ შორის ნიადაგის ეროზიის საფრთხეები); ადგილობრივი მოსახლეობა და კულტურული მემკვიდრეობა--საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC Performance Standards -ების შესაბამისად (როგორც აღწერილია Performance Standard 1-ში და ექსპლოატაციის ინსტრუქციებში) და თითოეული რისკის აღწერა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზემოქმედებას ისეთ მეურნეობებზე, რომლებსაც მართავენ ასაკოვნები და ქალები.
- რისკებზე დაკვირვების ანგარიშის შემუშავება
- ნიდერლანდების სამეფოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის მიერ აღნიშნული ანგარიშის სრული დადასტურების უზრუნველყოფა
- ძირითადი ეკოლოგიური და სოციალური რისკების დადგენა, შეფასების და შემამსუბუქებელი ღონისძიებების გატარების მიზნით.
- პრიორიტეტული რისკის ზონებისთვის: სრული მოცულობის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების მომზადება, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC Performance Standards -ების შესაბამისი სტანდარტის მიხედვით; დადგენილი რისკების შეფასება მათი სივრცული გავრცელების, ალბათობის, დროის დიაპაზონის, შექცევადობის, აღდგენადობის, ინტენსიურობის, ზემოქმედების და სისტემაზე აკუმულირებული ეფექტის მიხედვით.
- სრული მოცულობის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების მომზადება, შესაბამისი ზემოქმედებების ხარისხის და რაოდენობის განსაზღვრით და, IFC Performance standard-ების ფარგლებში მათი დარჩენის უზრუნველყოფის მიზნით, ღონისძიებების შეთავაზება
- გარემოზე და სოციალური მართვის შეფასების ანგარიშში დადგენილი რისკების და ზემოქმედების ზონებისთვის გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმის მომზადება და ტექნიკურ პროექტზე საჭირო რეკომენდაციების, შესაბამისი ექსპლოატაციის და საბიუჯეტო ღონისძიებების შეთავაზება
- გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმის სრულად შეთანხმების(დამტკიცების) უზრუნველყოფა, ნიდერლანდების სამეფოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის მიერ.

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

### ჯგუფის შემადგენლობა

საჭიროა ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, რომელსაც დახმარებას გაუწევს ტექნიკური პერსონალი. დავალების სავარაუდო პერიოდია 3 თვე. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი ექსპერტების ჩამონათვალი:

- გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სტანდარტების სპეციალისტი : ჯგუფის ხელმძღვანელი; კვალიფიკაცია სოციალურ მეცნიერებებში.

კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დასაკომპლექტებელი ჯგუფის წევრების სრული მიმოხილვა, ჯგუფის წევრების რეზიუმეების, საფასურის, დროის განაწილების გრაფიკის ჩათვლით, რომელიც თანდართული იქნება დიდი ფორმატის ცხრილის სახით.

### **დავალება 3. ფინანსური გეგმა და ეკონომიკური კვლევა (შედეგი 3)**

ფინანსური მოდელი უზრუნველყოფს ზემო სამგორის სარწყავი და სადრენაჟე სისტემის ხარჯების და შემოსავლების განახლებულ ფინანსურ, კომერციულ და ეკონომიკურ გაანგარიშებებს. აღნიშნული მოიცავს ფულადი სახსრების ნაკადის პროგნოზს და გაანგარიშებებს, გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსური განხორციელებადობის, კომერციული ეფექტურობის და ეკონომიკური მდგრადობის შესახებ დასკვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა ვარიანტებზე და განფასების მეთოდებზე დაყრდნობით. პარალელურად, უნდა ჩატარდეს ტარიფების კვლევა, რომლის ფარგლებში მოხდება საბოლოო-მომხმარებლების მიერ საფასურის გადახდის სურვილის და შესაძლებლობის (უნარის)შეფასება

ღონისძიებები:

[ფერმერების ფულადი სახსრების ნაკადის პროგნოზი; კვლევა ფერმერთა მიერ საფასურის გადახდის სურვილზე/უნარზე და კომერციული ანალიზი შიდა სამეურნეო დონეზე.]

- შიდა სამეურნეო დონეზე ფულადი სახსრების ნაკადის პროექტის შემუშავება, ნატურალური მეურნეობიდან კომერციულ კულტურებზე გადასვლის ჩათვლით, ეკონომიკურ ანალიზთან ერთად და გარეშე, 12 ტიპიური მეურნეობისთვის, რომლებიც მონაწილეობენ სისტემაში, აწარმოებენ ყველაზე მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ფლობენ დიდი ზომის მიწას, აქვთ მნიშვნელოვანი სოციალურ-დემოგრაფიულ პროფილი. აღნიშნული პროექტი განსაზღვრავს:
  - (არსებული და პროგნოზირებული) ნედლეულის გამოყენებას, ხელმისაწვდომობას და ფასებს
  - (არსებული და პროგნოზირებული) წარმოების დონეებს
  - (არსებული და პროგნოზირებული) პროდუქციის გასაღების ბაზრებს და ფასებს
  - (პროგნოზირებული) ნატურალური მეურნეობიდან კომერციულ კულტურებზე გადასვლის მოდელს, გადასვლისთვის მინიმალური პირობებს და გადასვლის სურვილს
  - (არსებული და პროგნოზირებული) შიდა სამეურნეო დონეზე წყლის გარანტირებულ მიწოდებას .
  - (არსებული და პროგნოზირებული) მეურნეობის მთლიან ხარჯებში სარწყავი წყლის საფასურის პროპორციას

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

- (არსებული და პროგნოზირებული) წყლის საფასურის გადახდაზე ფერმერების სურვილს და შესაძლებლობას და მოვლა-შენახვის ხარჯებში მათ თანამონაწილეობას
- (არსებული და პროგნოზირებული) გადახდის ხელსაყრელ პირობების შესაძლებლობას

[შიდა-სამეურნეო დონეზე პროგნოზირებული კომერციული ანალიზის შესახებ მოსაზრებების შეფასება]

- ეკონომიკური ანალიზის მიღმა რეალურობის დადგენის მიზნით, კონკურსის მონაწილემ უნდა ჩატაროს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ანალიზი (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღირებულებათა ჯაჭვის ექსპერტებთან კოორდინაციაში და მათი, არსებული კვლევების და მონაცემების საფუძველზე), რათა:
  - შეაფასოს საბაზრო(ბაზრის) პოტენციალი შემოთავაზებული სასოფლო სამეურნეო კულტურებისთვის, ქვეყნის, რეგიონის და ევრო-კავშირის დონეზე, მათ შესაბამის ფასებთან, ხარისხის პირობებთან და კონკურენციის ანალიზთან ერთად
  - შეაფასოს შემოთავაზებული სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ფუნქციონირება ქვეყნის, რეგიონის და ევრო-კავშირის დონეზე, ყველა ფუნქციის ადეკვატურად უზრუნველყოფის მიზნით.
  - დაადგინოს ყველაზე ოპტიმალური საბაზრო(მარკეტინგის) პარტნიორები და ღონისძიებები ფერმერებისთვის და შეაფასოს მათი სურვილი ერთიანი ვაჭრობის და ფერმერთა მიერ სისტემიდან მიღებული პროდუქციის გადამუშავების მიზნით
  - დაადგინოს კომპანიები, რომლებიც მიაწვდიან ფერმერებს საჭირო ნედლეულს და მომსახურებას და შეაფასოს საჭირო ნედლეულის და ტექნიკური და ცოდნის და გაზიარების სამსახურების (კერძო ან საჯარო) შესაძლებლობა
  - შეაფასოს შესაბამისი ხარისხის სტანდარტები, ფერმერთა მიერ მინიმალური ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა და ხარისხის მართვის პროცედურების მზადყოფნა.
  - შეაფასოს არსებული და პროგნოზირებული მოსავლის და მოსავლის შემდგომი დანაკარგები და ამგვარად, საბაზრო მოცულობები .
  - შეაფასოს არსებული და პროგნოზირებული ორგანიზაციული მოდელების სოციალური და ეკონომიკური ეფექტურობა (სიცოცხლისუნარიანობა), ფერმერთა ერთიანი წარმოებისთვის; შეაფასოს სასაწყობე და გადამუშავების ინფრასტრუქტურული ინტერვენციები (ღონისძიებები)
  - დაადგინოს არსებული ან სამომავლო შესაძლებლობები (საშუალებები) ღირებულების დამატებისთვის და შეაფასოს მათი განხორციელებადობა
  - შეაფასოს ვაუჩერის პროგრამის ჩართვის შესაძლებლობა და მოდალურობა
  - შეაფასოს არსებული ფერმერთა კოოპერატივების პოტენციალი ერთიანი მარკეტინგის და/ან ნედლეულის მიწოდების მიზნით და წარმოადგინოს შესაძლო ღონისძიებები სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული პროგრამების ფარგლებში ფერმერთა კოოპერატივების ჩამოყალიბების და /ან გაძლიერების მიზნით.



## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

[სარწყავი სისტემის ფინანსური და ეკონომიკური ანალიზი]

- პროექტის და მისი კომპონენტებს აღწერა, ადგილის კვლევაზე დაყრდნობით, როგორც „ყველაზე მცირე დასრულებული პროდუქტიული (საწარმო) პირი, ფიზიკურად და ტექნიკურად ინტეგრირებული, რომელიც სრულად იყენებს შემოთავაზებულ ინვესტიციას და იღებს ყველა ფინანსურ სარგებელს, რაც შეიძლება მიღებული იქნას ინვესტიციიდან, აღნიშნული აღწერა „ამრიგად, ცალსახად მოიცავს იმ კომპონენტებსაც, რომლებიც არ ექვემდებარებიან „ორიოს“ დაფინანსებას, მაგრამ ტექნიკურად ინტეგრირებულია სარწყავი სისტემაში.
- პროგნოზირებული ფულადი სახსრების ექსტრაპოლაცია (შეფასება) შიდა სამეურნეო დონეზე, იმ მოსაზრებების გათვალისწინებით, რომლებმაც გაიარეს შიდა სამეურნეო დონეზე ღირებულების ფასის შემოწმება რეალურ პირობებში ; სარწყავი სისტემის პროექტის სრული ეკონომიკური ანალიზის შემუშავება.
  - მთლიანი საინვესტიციო ხარჯის დადგენა, რეინვესტირების ჩათვლით მომავალი 20 წლის პერიოდში , ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (შედეგ 4-ში), სხვადასხვა ნაწილების სავარაუდოდ ექსპლოატაციის ვადაზე და პროგნოზირებული რეინვესტირების ხარჯებზე დაყრდნობით
  - შესაბამისი პოცენტის განაკვეთის და კრედიტის პირობების დადგენა, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ინვესტიციები უნდა დაფინანსდეს ბანკის სესხით.
  - მესამე რიგის გამანაწილებლებზე ფერმერების მიერ სავარაუდოდ ინვესტიციების განსაზღვრა, სხვადასხვა გაანგარიშებებით და მოსაზრებებით, რომლებიც ექვემდებარება შემოწმებას
  - განახორციელდეს პროექტის პერსონალის და მართვის ხარჯების პროგნოზი (მათ შორის კონტრაქტის მართვა და ტექნიკური ზედამხედველობა), სხვადასხვა მოსაზრებებით და გათვლებით, რომლებიც ექვემდებარება შემოწმებას.
  - სისტემის ექსპლოატაციის, პერსონალის და მართვის ხარჯების პროგნოზი, რეაბილიტაციის შემდეგ, სხვადასხვა მოსაზრებებით და გათვლებით, რომლებიც ექვემდებარება შემოწმებას.
  - ფერმერებისთვის პროექტის სარგებლის ექსტრაპოლაციის (შეფასების) ჩატარება. ანუ ირიგაციის ეფექტის შეფასება სასოფლო სამეურნეო კულტურის მოსავალზე, შეცვლილ კულტურების მოდელირებაზე და ფერმერების შემოსავალზე ( ანუ განსხვავება შემოსავლებს შორის პროექტის გარეშე და პროექტის შემთხვევაში) და ამასთან დაკავშირებული მოსაზრებების დაზუსტება.
  - ეკონომიკური ანალიზის შემუშავება პროექტის ანალიზით და გარეშე, ორიოს ფორმატის შესაბამისად, ხარჯების ეფექტურობის მეთოდოლოგიაზე და შიდა ეკონომიკური უკუგების კოეფიციენტის (EIIR) გაანგარიშების საფუძველზე (რომელიც ასახავს ქვეყნისთვის პროექტის ინვესტიციის ეკონომიკურ უკუგებას). ეკონომიკური ანალიზი არ მოიცავს გრანტს და მის მაგივრად გულისხმობს ყველა საინვესტიციო ხარჯის დაფინანსებას უცხოური კომერციული სესხის საშუალებით გარდა ამისა, ის ეფუძნება საბაზრო მოსაზრებებს ან შესაბამის თანხებს ყველა ხარჯისა და შედეგისთვის , რაც შესაბამისად უნდა დაზუსტდეს. აღნიშნული ვადა მოიცავს 10 წელს.
- სისტემის შემოთავაზებული ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ორგანიზაციის

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

აღწერა

- ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ორგანიზაციის ფულადი სახსრების ნაკადის პროგნოზის შემუშავება, ფინანსურ ანალიზთან ერთად და გარეშე
  - პროექტის ეკონომიკური ეფექტურობის დადგენა (ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის) დადგენა
  - მთლიანი სიანვესტიციო ხარჯის, სისტემის არსებული ნაწილების საბალანსო ღირებულების, რეინვესტირების ხარჯების დადგენა პროექტის მანძილზე და პროექტის იმ ნაწილისთვის, რომელსაც ორიო აფინანსებს და შესაძლო დაკავშირებული ელემენტებისთვის /პროექტებისთვის.
  - საჭირო ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის პერსონალის და მათი ხარჯების დადგენა
  - ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვისთვის საჭირო აღჭურვილობის, მისი ცვეთის და მიმდინარე ხარჯების დადგენა
  - სისტემის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯების დადგენა, (პროექტის განხორციელების დასრულების შემდეგ), ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯების ჩაშლით, სასურველია ერთეულზე და ერთეულის ფასებად, სისტემის მესამე რიგის გამანაწილებელი ქსელის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯების განსაზღვრით;
  - წყალზე მოთხოვნის ანალიზის ჩატარება: წყალზე ფერმერთა მოთხოვნის გაანგარიშება; მოსაზრებების წარმოდგენა წყალზე პროგნოზირებულ მოთხოვნაზე, დროის განმავლობაში მოთხოვნის განვითარებაზე და აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სისტემის პოტენციალზე რესურსზე).
  - განსაზღვრა, თუ რამდენად მაღალია საფასურის გადაუხდელობა და რა მოხდება თუ ფერმერები არ გადაიხდიან
  - პროექტის შემოსავლების წარმოდგენა წყალზე მოთხოვნის ანალიზის, წყალმომხმარებელთა ჯგუფების, ტარიფების და გადაუხდელობის საფუძველზე
  - წყლის საფასურის გადახდაზე ფერმერთა სურვილის და შესაძლებლობის ანალიზზე დაყრდნობით:
  - წყლის საფასურის და საფასურის გადახდის მოდალურობის განსაზღვრა (თავდაპირველად და შემდეგ) დაწესებული ტარიფების აღწერის და სხვადასხვა წყალმომხმარებლისთვის ნებისმიერი შესაძლო დიფერენცირების უზრუნველყოფით, შემოთავაზებულ ტარიფთან დაკავშირებული მოსაზრებების და გაანგარიშებების წარმოდგენა; დროთა განმავლობაში ტარიფების მორგების შესაძლებლობის განსაზღვრა
  - დადგენა თუ რა პერიოდით, რომელი წყალმომხმარებლისთვის და რა პირობებით უნდა მოხდეს საფასურის სუბსიდირება; ასევე თანხის სრული ამოღებისთვის პერიოდის და პირობების განსაზღვრა.
  - წყალზე მოთხოვნის ანალიზზე, წყალმომხმარებლებზე, ტარიფებზე, და გადაუხდელობის ღონისძიებებზე დაფუძნებით: რამდენიმე წლის პერიოდისთვის, ზემო სამგორის სარწყავი სისტემაზე სამელიორაციო სისტემების კომპანიის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის სამსახურის შემოსავლების შემუშავება
  - პროექტის ფინანსური ანალიზის შემუშავება ორიო ფორმატის მიხედვით,

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

რითიც დამტკიცდება სარწყავი სისტემის ფინანსური მდგრადობა, ანუ რამდენად შესწევს უნარი ზემო სამგორის სისტემას გამოიმუშაოს საკმარისი სახსრები დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, ესპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯების და კაპიტალის გადახდის ფარგლებში. გარდა ამისა, ფინანსური ანალიზი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ფინანსურ გეგმაზე, ანუ პროექტის დაფინანსების ფაქტიურ მოდელზე (ფორმაზე) და სესხების პირობებზე (გამოყენების შემთხვევაში)

[საქართველოს მელიორაციის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის აღწერა]

- საქართველოს მელიორაციის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შემუშავება
  - სამელიორაციო სისტემების მართვაში მყოფი ყველა სარწყავი სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, შესაბამისი რეაბილიტაციის ეტაპის, ფულადი სახსრების დინების და ფინანსური მდგრადობის მონაცემთა ბაზებთან ერთად.
  - სამელიორაციო სისტემების კომპანიის ფინანსური მდგომარეობის აღწერა მომავალი 10 წლის პერიოდისთვის, არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის, პოლიტიკის, მათ შორის პროგნოზირებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების და სარწყავი სისტემის ექსპლოატაციიდან მიღებული პროგნოზირებული შემოსავლების, პერსონალის, ექსპლოატაციის და ინვესტირების სავარაუდო ხარჯების საფუძველზე.
  - რეკომენდაციის გაწევა წყლის საფასურში ზედნადები ხარჯის გაშლის ან სახელმწიფოს (სამინისტროს) მიერ მისი სუბსიდირების თაობაზე

დეტალური ფინანსური და ეკონომიკური ანალიზი წარმოდგენილი უნდა იყოს ექსელში, ორივე ფორმატის და ინსტრუქციების დაცვით.

### ჯგუფის შემადგენლობა

საჭიროა ექსპერტა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელსაც დახმარებას გაუწევს ტექნიკური პერსონალი. დავალების სავარაუდო პერიოდია 3 თვე. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი ექსპერტების ჩამონათვალი:

- აგრო-ეკონომისტი/ფინანსური ანალიტიკოსი: ჯგუფის ხელმძღვანელი

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დასაკომპლექტებელი ჯგუფის სრული მიმოხილვა, ჯგუფის წევრების რეზიუმეების, საფასურის და დროის განაწილების გრაფიკის ჩათვლით, როლებიც თანდართული იქნება დიდი ფორმატის ცხრილის სახით.

### **დავალება 4: დეტალური საინჟინრო პროექტი (შედეგი 4)**

დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა მოიცავდეს არსებული სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, საჭიროების და დადასტურების შემთხვევაში, ასევე ნაგებობების დემონტაჟის და ხელახალი პროექტირების სამუშაოებს, ფერმერთა ინტერესების შესაბამისად. სამუშაოები მოიცავს არხების და ისეთი ნაგებობების წმენდას და მოპირკეთებას, როგორცაა წყალმიმღებები, რაბ-რეგულატორები, ჰიდრო პოსტები, წყალგამშვებები, ფარები და მილხიდები და სხვა შესაბამისი ნაგებობები, მათი შემამჭიდროებელი რეზინების (დამქოლავი მოწყობილობების) ჩათვლით.

## დანართი # 1 - ტექნიკური დავალება

პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს დაბალ-ფასიანი, მყარი ნაგებობების მოწყობის საჭიროება, რომელთა განხორციელება, ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვა ადვილი იქნება. შემოთავაზებული რეაბილიტაციისათვის, საბოლოო არჩევანი დაეფუძნება ალტერნატიული პროექტების ტექნიკურ და ფინანსურ ანალიზებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბენეფიციარების და ექსპლოატაციის და ტექნიკური მომსახურების სააგენტოს (მუნიციპალიტეტები, საქართველოს მელიორაციის კომპანია) მოსაზრებებს, მათთან გამართული დისკუსიების საფუძველზე. საპროექტო საქმიანობა უნდა განხორციელდეს მდგრადობის და ეკონომიკური განვითარების პრინციპებით. შემოთავაზებული სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა იყოს უსაფრთხო და სტაბილური, სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ყველა ეტაპზე.

დეტალური პროექტი უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 11.08.2008 წლის #176 განკარგულების შესაბამისად „სამშენებლო ნებართვების გაცემის წესის და ნებართვების პირობების“ შესახებ. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ საინჟინრო სტანდარტებს და ნორმებს.

